ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 48
(11 505)

22 – 25 ივნისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

მოსწავლეთა პირველმა სპორტულმა თამაშებმა ნამდვილად ახალი სიცოცხლე შთაბერა ქართულ სპორტს. ბავშვთა ასპარეზობები მაინც სულ სხვაა, სხვა სიხალისე და განცდები ახლავს. საერთოდ კი, თუნდაც ის რად ღირს, რომ ყველა ჩვენმა ოლიმპიურმა, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონმა ფეხი ბავშვთა სპორტში აიდგა.

ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა კიდევ ის არის, რომ ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გუშინ რიგაში გაემგზავრა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში 18 მონაწილეა – 7 ქალი და 11 ვაჟი. ასეთი სოლიდური დელეგაცია ჯერ არ გასულა საქართველოდან ევროპულ სარბიელზე, რაც უდავოდ მისასალმებელია.

23 ივნისს თბილისში გამართული მძლეოსნური გარბენით დაგვირგვინდება ოლიმპიური კვირეული საქართველოში, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ დღეს ეძღვნება. კვირეულმა, სეოკ-ის და „კოკა-კოლას“ ერთობლივი ძალისხმევით, მთელი რესპუბლიკა მოიცვა.

სეოკ-ის ძირითადი ოპერატიული ზრუნვის საგნად კვლავ რჩება ესპანეთში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა. მთავარი პრობლემა ფინანსებია. სეოკ-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ პრობლემები მოგვარდება და ჩვენი ახალგაზრდები ამჯერადაც მიიღებენ მონაწილეობას მომავალ ოლიმპიელთა ამ დიდ სპორტულ ფორუმში.

ამ დღეებში პოლონეთში მიმდინარეობს ევროპის ქვეყნების სპორტის ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც ჩვენს კონტინენტზე სპორტის ინტეგრაციის, მუშაობის კოორდინაციისა და მართვის საკითხებს განიხილავს. თათბირში მონაწილეობს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი...

## მოსწავლეთა სპორტული თამაშების ჩატარებით ქართულმა სპორტმა თავისივე ფესვებისკენ იბრუნა პირი... 2

## 3 ვინ იყო ევერესტის პირველი დამპყრობი, მათ შორის ქალი, ახალდაქორწინებულები, მამა-შვილი, ყველაზე ხანდაზმული, თხილამურებით დამშვები...



„მინდა ვიყო ჩვეულებრივი ქალიშვილი და არა სიმბოლო“ – განაცხადა მხატვრული ტანვარჯიშის ვარსკვლავმა, რუსეთელმა ალინა კაბაევამ მას შემდეგ, რაც ევროპის ჩემპიონატში 4-დან 3 პროგრამაში გახდა კონტინენტის ჩემპიონი. ჟურნალისტთა კორპუსმა თავი მოაბეზრა ყოველმხრივ სრულყოფილ ამ ქალიშვილს, რომელსაც უკვე 18 წელი შეუსრულდა. მას უკვე მშვენიერების სიმბოლოდ მიიჩნევენ, თავად კი... აკი განაცხადა, – „ჩვეულებრივი ქალიშვილი მინდა ვიყო“...

*სურათზე: ალინა კაბაევა*





## 5 მარადიული თემა: პელე თუ მარადონა?!



*კრუსასული — ბოკა ხუნიორსი*

## 6




*უკრაინა — ჩინეთი*

## მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის 6

## ლიბერტადორესის თასი. ფინალი ● I შეხვედრა

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### მექსიკის ნაკრების მწვრთნელი გადადგა

**მექსიკის** ნაკრების მწვრთნელმა ენრიკე მესამ განცხადება დაწერა გადადგომის შესახებ, მას შემდეგ, რაც მექსიკის ნაკრებმა, გუშინწინ, წააგო შეხვედრა ჰონდურასის ნაკრებთან 1-3. ეს იყო მექსიკელთა ზედიზედ მეექვსე (!) დამარცხება.

### «ატლანტამ» კლასი აჩვენა და მერე როგორი

**კეტბურთელთა** მთავარი ლიგის აშშ-ის ჩემპიონატში „ატლანტამ“ შინ, ზედიზედ, სამი მარცხი განიცადა და აი, სენსაციური გამარჯვება „ფლორიდასთან“, გუნდთან, რომელსაც ეს პრინციპული მატჩი რომ მოეგო, მეექვსედ ხდებოდა ჩემპიონი.

● **გაბრიელ ბატისტუტამ** განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც აისრულა ოცნება და „რომაში“ „სკუდეტო“ მოიგო, საფეხბურთო კარიერა სურს დაასრულოს თავის ყოფილ კლუბ „ბოკა ხუნიორსში“. არადა, 2004 წელს, როცა „ბატიგოლს“ კონტრაქტი დაუმთავრდება, ის უკვე 35 წლისა იქნება.

● **იტალიის** ჩემპიონმა „რომამ“ კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთ ბრაზილიელ ფეხბურთელთან. ესაა ფრანსისკო ლიმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ, ასევე. იტალიის „ბოლონიაში“ თამაშობდა.

## მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

ჩეხეთი – ავსტრალია 0–3 (0–2)

კოსტა რიკა – ეთიოპია 3–1 (1–0)

საფრანგეთი – პარაგვაი 2–2 (1–0)

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 2 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 231 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# საქართველოს მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშები

## კიდევ ერთი ნაბიჯი ეროვნული ჭიდაობის ასაღორძინებლად

ქართული ჭიდაობა



თამაშების ჩემპიონი — თბილისის ნაკრები

ადრე ვიუწყებოდით, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივით, წლეულს ჩატარებულ საქართველოს სტუდენტთა უნივერსიადაზე ქართული ჭიდაობა სავალდებულო სპორტის სახეობად შეიტანეს. და აი, ახლა საქართველოს მოსწავლეთა I სპორტულ თამაშებშიც ქართული ჭიდაობა კვლავ სავალდებულო სახეობად დარჩა. ამ ფაქტმა გამოაცოცხლა რეგიონები. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ათი რეგიონის 1985-86 წლებში დაბადებული 75 სპორტსმენი. მათ შორის იყო წარსულში ცნობილი მოჭიდავის დურმიშხან ბერუაშვილის შვილიშვილი — დურმიშხანი.

გუნდურ პირველობაში თამაშების ჩემპიონი გახდა თბილისის უძლიერესი ნაკრები (მწვრთნელები ვასილ ლაზრიშვილი და ელიზბარ ბიგანიშვილი). ამ გუნდმა 148 ქულა, ორი ოქროს, ექვსი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილი ხვდა შიდა ქართლის რეგიონს (მწვრთნელები გივი ზაუტაშვილი, ქართლოს პავლიაშვილი) — 91 ქულა (ორი ოქრო, ერთი ვერცხლი, ორი ბრინჯაო), მესამე — მცხეთა-მთიანეთის ნაკრებს, რომელიც ძირითადად სოფელ ძალისის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული — 83 ქულა (თითო ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი), მწვრთნელები ზაურ და ვაჟა პავლიაშვილები). სამაგალითოდ იმასაც ვიტყვით, რომ გურჯაანის რაიონის ს. კალაურში ორი წლის წინათ მწვრთნელმა გიორგი პაპოშვილმა გახსნა ბავშვთა სპორტსკოლა და სწორედ მისმა აღსაზრდელებმა ამ შეჯიბრებაზე კახეთის რეგიონის სახელით იასპარეზეს.

**კვარცხლბეკი:** ***52 კგ:*** 1. დავით მერლანი (სამეგ — ზ.სვ), 2. ნუკრი ჩოჩიშვილი (თბ), 3. გიორგი პაპოშვილი (კახ); ***56 კგ:*** 1. ბადრი ბასოშვილი (კახ), 2. დიმიტრი ჭინჭარაშვილი (მცხ-მთ), 3. ლაშა გაბოძე (თბ); ***60 კგ:*** 1. ლევან სონიშვილი (მცხ-მთ), 2. მალხაზ კუმლაძე (თბ), 3. გოჩა ხორბალაძე (შიდ. ქართ); ***64 კგ:*** 1. ზაზა კედელაშვილი (თბ), 2. იური ომაძე (შიდ. ქართ), 3. შალვა ცულოშვილი (მცხ-მთ); ***68 კგ:*** 1. ირაკლი ლაგაზიძე (კახ), 2. გიორგი ბაინდურაშვილი (თბ), 3. გია ტაბლიაშვილი (ქვ. ქართ); ***72 კგ:*** 1. გურამ გოგიძე (თბ), 2. ნუკრი ბულია (სამეგ-ზ.სვ), 3. ავთანდილ ცუცქირიძე (იმერ); ***76 კგ:*** 1. მიხეილ კალატოზი (იმერ), 2. ლევან ფერაძე (თბ), 3. ჯიმშერ ჩიხლაძე (შიდა ქართ.); ***80 კგ:*** 1. ილია ძამაშვილი (შიდა ქართ), 2. ზაზა კუნდუხაშვილი (თბ), 3. პავლე შეყრილაძე (იმერ); ***მძიმე:*** 1. დურმიშხან ბერუაშვილი (შიდა-ქართ), 2. ლევან გუჯეჯიანი (თბ), 3. შმაგი გოშვანი (იმერ).

**იური იმერლიშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი.**

# ის რაც გორმა შეძლო, რატომ არის მიუწვდომელი ბათუმისთვის, ქუთაისისთვის, სხვებისთვის?

ცურვა

ჩვენს ქვეყანაში მოსწავლეთა კომპლექსური სპორტული ასპარეზობების, კერძოდ, პირველი სპორტული თამაშების ჩატარებით ყველას ჩაესახა იმედი, რომ ქართულმა სპორტმა თავის ფესვებისკენ იბრუნა პირი. სპორტის ყველა იმ სახეობას, რომლებიც თამაშების პროგრამაში შევიდა, განსაკუთრებით გაუმართლა, მათ შორის ცურვას. ამას რომ ვამბობთ, უფრო ის გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მასებისთვის განსაკუთრებით მოზარდებისთვის ეს აუცილებელი სპორტის სახეობა იქნებ კვლავ მოექცეს საერთო ყურადღების ცენტრში. საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია მიიჩნევს, რომ ეს არის ათვლის ახალი წერტილი ჩვენში ცურვის განვითარებისათვის.

თითქმის 10 წელიწადია, ქვეყნის მასშტაბით მოცურავეთა შეჯიბრება არ გამართულა. ამის მიზეზად იქცა უყურადღებობით განადგურებულ — გაჩანაგებული, ფუნქცია დაკარგული საცურაო აუზები. მოსწავლეთა თამაშებმა, ალბათ, იმპულსი უნდა მისცეს აუზების ამოქმედებას. შესანიშნავი მაგალითი კი გორმა უკვე მოგვცა, სადაც ჰამლეტ მაყაშვილმა, ქალაქის ხელმძღვანელების ხელშეწყობით, კვლავ აამუშავა საცურაო აუზი. თანაც ეს ბაზა ერთ-ერთ თანამედროვე, კეთილმოწყობილ სპორტულ კერად იქცა, სადაც მთავარი „მოთხოვნა — სისუფთავე, ცხადია, წყლისაც, — იდეალურია.

გორში ასობით ბავშვი ეზიარა ცურვას, რჩეულებმა კი აგერ, მოსწავლეთა თამაშებშიც იასპარეზეს შიდა ქართლის სახელით და მოხდა სენსაცია (თუმცა, ლოგიკური) — თბილისელთა შემდეგ გორელმა მოცურავეებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს საერთო გუნდურ ჩათვლაში. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა თუ რა შეუძლია თუნდაც ერთი კაცის მონდომებას. აქვე ვიტყვით, რომ გორში უკვე წყალბურთის თამაშიც დაიწყს. ამას წინათ, კერძოდ, 3 ივნისს კი გორელებმა პირველად უმასპინძლეს თბილისელ მოცურავეებს ამხანაგურ შეხვედრაში.

ზემოთქმულის ფონზე გაოცებას იწვევს სპორტის წყალთა სახეობების ისეთი ტრადიციულ ცენტრებში საცურაო აუზებისადმი უყურადღებობა, როგორიცაა აჭარა და ქუთაისი. ბათუმში გიორგი ცხოიძე — მოცურავეთა ცნობილი მწვრთნელი, იძულებული გახდა ჩოგბურთელებთან იმუშაოს საერთო ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორად. ამ კაცმა ზღვის ტალღებზე, ჩოგბურთელებს ცურვაც შეასწავლა. აჭარელი ჩოგბურთელები ა. ჯულელი, და ე. დანელია თურმე მშვენივრად ცურავენ, მაგრამ თამაშებში ცისფერ ბილიკებზე მათ გამოყვანას თავი ვერ მოაბეს.

**კვარცხლბეკი:** ***გოგონები. 100 მ. თავ. სტ.*** (14 მონაწ): ა. სალნიკოვა — 31,3, ნ. დავითაშვილი (ორივე — თბ) — 33,3, ნ. ბუხრიკიძე (შიდა ქართლი) — 38,4. ***50 მ. გულაღმა ცურვა*** (8 მონაწ.): სალნიკოვა — 36,9, ბუხრიკიძე — 44,9, ერაძე (იმერ. მხ) — 1.02,9; ***50 მ. ბრასი*** (5 მონაწ): დავითაშვილი — 40,9, დ. ერისთავი (შიდა ქართ) — 48,8, ლ. ქოჩიაშვილი (ქვ. ქართ) — 49,6; ***ბიჭები. 100 მ. თ. სტ*** (20 მონაწ): ა. მოსეშვილი — 26,1, გ. ჩეჩელაშვილი (ორივე — თბ) — 27,4, გ. ნოზაძე (შიდა ქართ) — 33,2; ***50 მ. გულაღმა ცურვა*** (3 მონაწ): კ. შირიაევი (ქვ. ქართ) — 48,6, ლ. ტაბაღუა (სამეგ — ზ/სვ) — 54,2, ლ. ბუზალაძე (თბ. უკონკურსოდ) — 34,8; ***50 მ. ბრასი:*** გ. ჩეჩელაშვილი — 34,4, ნოზაძე — 44,7, ნ. გაგნიძე (ქვ. ქართ) — 46,8; ***ამანათცურვა. 4X50 მ. თავ. სტ*** (მონაწ. 5 გუნდი): თბილისი — 40 ქ. შიდა ქართლი — 32, ქვემო ქართლი — 24, მცხეთა — მთიანეთი — 18, იმერეთის მხარე — 12. ***საერთო გუნდური ჩათვლა:*** თბილისი — 192 ქ, შიდა ქართლი — 138, ქვემო ქართლი — 86, მცხეთა — მთიანეთი — 43, იმერეთის მხარე — 41, სამეგრელო — ზემო-სვანეთი — 33, კახეთის რეგიონი — 2.

# ჩოხიანებო, ერთად!

სამბო

უდავოა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს სპორტული თამაშების ორგანიზატორებმა, როდესაც ქართული ჭიდაობის შეჯიბრების დამთავრების შემდეგ იმავე სპორტულ დარბაზში ასპარეზი სამბისტებს დაუთმეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ტრადიციულად საქართველოში ჩოხიანი ჭიდაობების (სამბო, ძიუდო, ქართული ჭიდაობა) ყოველთვის ურთიერთკავშირში იყო, რაც კიდევაც განაპირობებდა თვალსაჩინო წარმატებებს საერთაშორისო არენაზე სამბოსა და ძიუდოში. ამ ფაქტს დაემატა კიდევ ის გარემოებაც, რომ რეგიონებიდან ჩამოსული გუნდების მონაწილენი და შეჯიბრების ორგანიზატორები გათავისუფლდნენ ზედმეტი ხარჯებისაგან, რაც ესოდენ საჭიროა დღევანდელ პირობებში.

შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში ჩატარდა, მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 8 რეგიონის 1985-86 წლებში დაბადებული 78 ჭაბუკი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის ნაკრებმა — 192 ქულა (მწვრთნელები ელიზბარ ბიგანიშვილი, ვასილ ლაზრიშვილი), მეორე ადგილი ხვდა შიდა ქართლის რეგიონს — 105, (მწვრთნელები გივი ზაუტაშვილი, ლავრენტი კაციაშვილი, ქართლოს პავლიაშვილი) მესამე — იმერეთის რეგიონს — 86,5 (მწვრთნელი გივი სარდანაძე).

***გაგაცნობთ პირად პირველობაში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს: 48 კგ:*** 1. მალხაზ პაპიაშვილი (თბ), 2. ბონდო ტყეშელაშვილი (იმერეთ), 3. ლექსო კუზანაშვილი (კახ), სოსო ნიჟარაძე (ქვ. ქართ); ***52 კგ:*** 1. გიორგი შოშიაშვილი (თბ), 2. კახა მამულაშვილი (აფხაზ.) 3. ლევან იმერლიშვილი (აფხაზ.), დავით ასუმბანი (კახეთი); ***56 კგ:*** 1. თემურ ხურციძე (იმერეთ), 2. გიორგი მჭედლიშვილი (თბ), 3. დიმიტრი ჭინჭარაული (მცხ.მთ), დავით სარქისიანი (შიდა ქართ.); ***60 კგ:*** 1. მალხაზ ავეტიკოვი (კახეთი), 2. მალხაზ კუმლაძე (თბ), 3. გეგი გუჯეჯიანი (სამეგ. ზ. სვ), ლაშა გაბოძე (აფხაზ); ***65 კგ:*** 1. ზაზა კედელაშვილი (თბ), 2. დათო უძილაური. (კახ.), 3. ლევან ბეინაშვილი (შიდა ქართ), ლევან მიქაბერიძე (სამეგ. ზ. სვ); ***70 კგ:*** 1. დავით გვარამია (თბ), 2. დავით კობერიძე (შიდ. ქართ), 3. დათო შენგელია (სამეგ. ზ. სვან), გიორგი ტაბლიაშვილი (ქვ. ქართ); ***75 კგ:*** 1. ვახტანგ ჩიკვაიძე (თბ), 2. გიორგი ბაინდურაშვილი (შიდ. ქართ); 3. ალექსანდრე გოგუა (სამეგ. ზ. სვ.), ირაკლი ლაგაზიძე (კახ.); ***81 კგ:*** 1. გიორგი ფერაძე (თბ), 2. ბესიკ ტყემალაძე (იმერეთი), 3. პავლე შეყრილაძე (აფხაზ), მირიან ბლიაძე (მცხ. მთიანეთი); ***87 კგ:*** 1. ლექსო ღვინიაშვილი (აფხაზ), 2. თედორე აბელაშვილი (თბ), 3. ბაკურ გაგუა (სამეგ. ზ. სვ), შმაგი გოშვანი (იმერეთ); ***+87 კგ:*** 1. ლევან გუჯეჯიანი (თბ), 2. დურმიშხან ბერუაშვილი (შიდა ქართ), 3. ნოდარ ქათამაძე (იმერეთ), თემურ ჯულელი (აფხ).

**იური იმერლიშვილი**



***სურათზე: თბილისის ნაკრები სამბოში — თამაშების ჩემპიონი.***

# ტექნიკური შედეგები

***გუნდური:*** 1. თბილისი 1 — 488 ქულა, 2. სამეგრელო-ზემო სვანეთი — 247,5, 3. იმერეთი — 218. ***პირადი. გოგონები: 100 მ.*** იულია დუბინა — 12,4, ანა ნიკოლაიშვილი — 12,9, ნატო მექვაბიშვილი (სამივე — თბ) — 13.1; ***200 მ:*** დუბინა — 25,8, თამარ ესებუა (თბ) — 26,1, ეკატერინე ტყემალაძე (გურია) — 27,7; ***400 მ:*** ესებუა — 59,3, მარინა ეფიმოვა (თბ) — 1.01,7, ტყემალაძე — 1.02,7; ***3000 მ:*** ნინო თათრულაიძე — 11.01,9, თამარ გუთანაიძე (ორივე — კახ) — 11.26,7, სოფიკო ლაბაძე (სამც-ჯავ) — 11.27,5; ***სიმაღლეზე ხტომა:*** ნათია ჯანელიძე (თბ) — 135 სმ, ლალი მესხი (შიდა ქართ) — 130; ***ბირთვი:*** მარიამ ქევხიშვილი (ქვ. ქართ) — 12,50 სმ, სოფიკო ადეიშვილი (იმერ) — 10.30, ელიზბარაშვილი — 10.17; ***ბადრო:*** ქევხიშვილი — 27,63, ელიზბარაშვილი — 25,50, ადეიშვილი — 24,07. ***სიგრძეზე ხტომა:*** ჯანელიძე — 5.22, ნატო მექვაბიშვილი (თბ) — 5.16, გვანცა ჯოჯუა (მცხ-მთ) — 5,07; ***შუბი:*** ანა უთიაშვილი (თბ) — 31.30, მარიკა თუთისანი (იმერ) — 30.23, ნინო ქურდოვანიძე (კახ) — 24.14; ***ამანათრბენი 4X100:*** თბილისი 1 — 52,0, თბილისი 2 — 54,1, სამეგრელო-ზემო სვანეთი — 55,7. ***ჭაბუკები. 100 მ:*** ავთანდილ შავეშოვი (თბ) — 11,4, დავით ცუცქირიძე (სამც-ჯავ) — 11,7, გიორგი. გურგენიძე (სამეგ/ზ. სვ) — 11,8; ***200 მ:*** ზურაბ წერეთელი (თბ) — 22,8, ნიკა მეშველიანი (სამეგ/ზ. სვ) — 23,8, შავეშოვი — 24,2; ***400 მ:*** წერეთელი — 50 მ, მეშველიანი — 51,5, გელა ცინცაძე (თბ) — 55,5; ***800 მ:*** გოგა ჯიგილიანი (თბ) — 2.05,7, ირაკლი ჯააძე (კახ) — 2,06, თემური ღვინჯილია — (სამ/ზ. სვ) — 2.06,09; ***3000 მ:*** ჯააძე — 9.25,6, იგორ ქაბინი — 9.40,0, კობა ნებაძე (ორივე — სამც-ჯავ) — 9.40,6; ***სიგრძეზე ხტომა:*** დავით ცუცქირიძე (სამც.-ჯავ) — 6,14, დავით პაპუაშვილი (შიდა ქართ) — 6,14, სპარტაკ ფაჩულია (სამ/ზ.სვ) — 5,70; ***ბირთვი:*** ზურაბ გიგაია (სამ. ზ/სვ) — 18,16, მამუკა. ტუღუში (გურია) — 17,89, ბენიკ აბრამიანი (თბ) — 13,98; ***ბადრო:*** გიგაია — 44,66, ტუღუში — 43,60, მურმან კოხრეიძე (იმერ) — 32,50; ***შუბი:*** გიორგი ხვთისიაშვილი (მცხ-მთ) — 50,90, გიორგი გოგლიძე (თბ) — 44,70, კობა ჩხენკელი (იმერ) — 43;62; ***სიმაღლეზე ხტომა:*** დავით პაპუაშვილი (ქართ) — 165, ლევან ბექაური — 160, დავით გაბიძაშვილი (ორივე — ქვ. ქართ) — 150; ***ამანათრბენი. 4X100:*** თბილისი 1 — 43,4, სამეგრელო-ზემოს სვანეთი — 46,9, გურია — 48,5; ***4X100:*** თბილისი 1 — 45,4 სამეგრელო-ზ/სვ — 46,9, გურია — 48,5; ***4X400:*** თბილისი 1 — 3.36,7, სამეგრელო-ზ./სვ — 42,6, გურია — 3,54,3.

**«ლელოს» რედაქციას!**

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ქართული სპორტის თავკაცებს და იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს და გაიზიარეს ჩვენი ოჯახის ტრაგედია შვილის პაპუნა გახარიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

**როზა ბერიკაშვილი, ლაშა გახარია**



# ევერესტი (8843 მ.) – მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი – და გინესის რეკორდები

ნეპალელმა კაჯი შერპამ შეძლო ორი საათით და 20 წუთით გაეუმჯობესებინა ევერესტზე ასვლის რეკორდი. ქხუმბუს მყინვარზე განლაგებული საბაზო ბანაკიდან (5200 მ.) მწვერვალზე ასვლას მან 20 საათი და 20 წუთი მოანდომა. შთამბეჭდავი იყო მარკ ბეტარდის წინა რეკორდიც (1988 წ.) – 22,5 საათი. კაჯი შერპას მწვერვალზე ასვლა უფრო ნაკლებ დროშიც შეეძლო, ამინდის მოლოდინში დრო რომ არ დაეკარგა.

დღემდე რჩება გინესის რეკორდად შვეიცარიელი ალპინისტების წყვილის ტრუალეტისა და ლორეტანის მიღწევა. მათ ჩრდილოეთის მხრიდან მწვერვალზე ასვლას და უკან დაბრუნებას 41 საათი და 30 წუთი მოანდომეს.

ევერესტი მსოფლიოში უმაღლესი ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია ფეხი შედგას, ამიტომ ევერესტი დღეს ისეთივე ძალით იზიდავს ამსვლელებს, როგორც ამ 80 წლის წინათ, როცა მწვერვალზე პირველი ბრიტანული ექსპედიცია მოეწყო, ამდენად, ევერესტი ის ასპარეზია, სადაც ადამიანებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ თავიანთი ჟინი.

რეკორდების დამყარება სათავეს 1922 წლიდან იღებს, როცა მელორიმ და ირვინმა მიაღწიეს ადამიანისათვის მანამდე უცნობ სიმაღლეს. რამდენიმე დღის შემდეგ, ჯორჯ ფიტჩი და ჩარლზ ბრიუსი აღწევენ 27 000 ფუტის სიმაღლეს, რაც უკანასკნელისათვის ფანტასტიკური შედეგი იყო, ვინაიდან ბრიუსი ახალბედა მთამსვლელი გახლდათ.

იმ ექსპედიციაში მოხდა აგრეთვე პირველი უბედური შემთხვევა ევერესტზე. ჩრდილოეთი უნაგირის ძირში (7200 მ.) ზვავმა 7 შერპის სიცოცხლე შეიწირა.

ვინ იყო სინამდვილეში ევერესტზე დაღუპულთა შორის მეასე? 1988 წელს მწვერვალთან ახლოს დაღუპულ 4 ჩეხ მთამსვლელთაგან ერთ-ერთი. ეს მოხდა უბედური შემთხვევების რეკორდით ცნობილ 1995 წელს.

როგორც კი ადამიანმა ევერესტზე შედგა ფეხი (1953 წელს მწვერვალზე ავიდნენ ბრიტანეთის ექსპედიციის ორი წევრი ჰილარი და თენსინგი) ალპინისტები იქვე შეუდგნენ ევერესტზე ასვლის ახალი გზების ძიებას, მთამსვლელთათვის უმაღლეს ღირებულებას შეადგენს მწვერვალზე ახალი, მანამდე უვალი, გზით ასვლა.

სასიმაღლო ალპინიზმის საეტაპო მიღწევებად აღიარებულია ასვლა ევერესტზე სამხრეთ – დასავლეთი კედლით, დიდი კულუარით, ევერესტის პირველი ტრავერსი და სხვა ახალი გზით განხორციელებული ასვლები, და მათ შორის პირველი ზამთრის ასვლა მწვერვალზე.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა თუ რომელი ეროვნების და რომელი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნით გახმაურებული ასვლები მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე.

დღეს ალპინისტური სეზონი ჰიმალაიში ისე არ ჩაივლის, ევერესტზე ამსვლელთა შორის არ გამოჩნდნენ ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც ალპინიზმი საერთოდ არ იყო კულტივირებული.

შთამბეჭდავი იყო ამერიკელების, განსაკუთრებით მათი ქალების ასვლა ევერესტზე დასავლეთი თხემით და შემდეგ მასივის სრული ტრავერსი, ასევე ბრიტანელთა მიღწევა, რომლებმაც მწვერვალი დაძლიეს ყველაზე პრესტიჟული სამხრეთ-დასავლეთი კედლით და ამასთან, ჟანგბადის უხელსაწყოდ ღამე ევერესტის სამხრეთ მწვერვალზე გაათენეს.

ძალიან საეჭვოა, რომ ჰასტონისა და სკოტის სიცოცხლის გადარჩენისათვის შემართების (ბრძოლის) ეს რეკორდი ვინმეს ჰქონოდეს დაძლეული – საეჭვოა, რომ ვინმემ კიდევ მწვერვალზე გაათიოს ღამე.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ათასწლეულის შეხვედრას ზოგიერთი ფანატიკოსი ევერესტის წვერზე გეგმავდა, იგი ოცნებათა სფეროში დარჩა.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რაც უფრო საინტერესოა ადამიანთა უმრავლესობისათვის. მართლაც, ჭეშმარიტად უმაღლესი რეკორდების რიცხვს განეკუთვნება ქალის, ჯანკო ქაბეას 1975 წელს ევერესტზე ასვლა. მას მოიხსენიებენ, როგორც პირველ ჩრდილოამერიკელ ქალს, პირველ ამერიკელ ქალს და ა.შ.

ზოგიერთ რეკორდს არასოდეს არ გაუვა ყავლი. ნორტონის 1924 წლის რეკორდი დღესაც აღაფრთოვანებს ადამიანებს, ისევე როგორც ევერესტზე პირველამსვლელთა ჰილარისა და თენსინგის მიღწევა, ასევე მესნერისა და ხაბელერის ევერესტზე უჟანგბადოდ ასვლა, ადამიანის შესაძლებლობის მაღმა გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

რაც შეეხება მესნერის ეულად ასვლას ევერესტზე უჟანგბადოდ, და, რაც მთავარია, სეზონთაშორის – ზაფხულის პერიოდში (კლიმატური პირობების გამო ასვლები ევერესტზე, როგორც წესი, ხორციელდება გაზაფხულზე და ადრე შემოდგომით), მას გამორჩეული ადგილი უკავია ევერესტზე ასვლების მთელ ისტორიაში (1980 წ.).

მესნერის ეს ასვლა შესაძლებელია დარჩეს ერთადერთ სოლო ასვლად, ვინაიდან ამჟამად მწვერვალის მისადგომები გადაჭედილია ევერესტზე ასვლის მსურველთა მრავალრიცხოვანი ჯგუფებით.

პირველი ქალი, რომელმაც უჟანგბადოდ განახორციელა ასვლა ევერესტზე, ალბათ ალისონ ჰარგრივისია, თუმცაღა ეს შეიძლება ყოფილიყო ლილი ბრედი, რომელიც ასევე უჟანგბადოდ ავიდა ევერესტზე 1988 წელს და მისი ასვლა ჟიურის მხედველობიდან გამორჩა!

პირველი ახალდაქორწინებული წყვილი, რომელიც ასევე უჟანგბადოდ ავიდა ევერესტზე, იყო მორი და ანდრე სტრემფელები, ხოლო პირველი მამაშვილი იყო როჩერების წყვილი. შვილი, 17 წლის ბერნარდი, ყველაზე ახალგაზრდა იყო ევერესტზე ამსვლელთა შორის.

საეჭვოა, რომ ამ რეკორდმა დიდხანს გაძლოს, თანამედროვე მკაცრი კონკურენციის პირობებში. ამის მაგალითია ბონერსი, რომელიც 1985 წლამდე ყველაზე ხანდაზმული იყო ევერესტზე ამსვლელთა შორის. მისი რეკორდი, რამდენიმე დღეში მოხსნა დიკ ბასმა, რომელსაც, მცირე ხნის შემდეგ, ეს მიღწევა 60 წელს გადაცილებულ ვენესუელს „გადააბარა".

– ჩემს შემთხვევაში, – ამბობს სტეფან ვენაბლი, ბედმა გამიღიმა, რომ დავიბადე ბრიტანეთში და მონაწილეობა მივიღე ევერესტზე პირველ ბრიტანულ ასვლაში უჟანგბადოდ, თანაც ასვლა სამხრეთ უნაგირაზე (8000 მ.), ტიბეტის მხრიდან, ახალი გზით განვახორციელეთ. ასეთი მცირერიცხოვანი ჯგუფით, როგორიც ჩვენი იყო, ასეთი რთული ასვლა ევერესტზე, არავის შეუსრულებია.

**შოთა მირიანაშვილი**

*გაგრძელება იქნება*

# საბინა ბრაუნი მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა შვიდჭიდში გერმანელმა საბინა ბრაუნმა განაცხადა, რომ ის ტრავმის გამო გამოტოვებს მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც კანადის ქალაქ ედმონტონში ჩატარდება. მან ასევე განაცხადა, რომ დიდ სარბიელს საბოლოოდ გამოეთხოვება მიუნხენში 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ.



ბრაუნი

# მძლეოსნობის ვარსკვლავები პრაღაში

ჩეხეთის დედაქალაქში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი მძლეოსნობაში. მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიცაა: ჯექსონი, ანერ გარსია, ტომაშ დვორჟაკი, ანჟელა ბალახანოვა, იური ბელონგო.

ტურნირის ორგანიზატორებს მაყურებელი რომ მიეზიდათ, შეჯიბრებაზე შესვლა უფასო იყო, სტადიონზე კი ასევე უფასოდ მაყურებელს ლუდს ურიგებდნენ.

გაგაცნობთ ზოგიერთ სახეობაში გამარჯვებულებს.

**ვაჟები**

***100 მ*** – მარტინ ბრინჩარსკი (სლოვაკეთი) – 10,73, ***200 მ*** – რადეკ ზახოველი (ჩეხეთი) – 21,16, ***400 მ*** – ჰამდან ალ-ბიში (საუდის არაბეთი) – 45-26, ***800 მ*** – მარკო კერსი (ჰოლანდია) – 1.47,75, ***1500 მ*** – იუსუფ ბაბა (მაროკო) – 3.38,39, ***ჭოკი*** – ტიმ ჰობინგერი (გერმანია) – 5,70, ***სიგრძეზე ხტომა*** – კარიმ სტრიტ-ტომპსონი (კაიმანის კ-ბი) – 7,95, ***ბირთვი*** – იური ბელონგო (უკრაინა) – 20,98, ***ურო*** – პაველ სედლაჩეკი (ჩეხეთი) – 79,18, ***ხამჭიდი*** – ტომაშ დვორჟაკი (ჩეხეთი) – 2696.

**ქალები**

***100 მ*** – ალენკა ბიკარი (სლოვენია) – 11,56, ***400 მ*** – ამი ტიამი (სენეგალი) – 52,11, ***800 მ*** – არგენტინა პაულინო (მოზამბიკი) – 1.59,70, ***3000 მ*** – ასმაე ლაგზაოუი (მაროკო) – 8.49,24, ***ჭოკი*** – ივონე ბუშბაუმი (გერმანია) – 4,40, ***ურო*** – ლიუცია ვრბენსკა (ჩეხეთი) – 64,59, ***შუბი*** – ნიკოლა ტომეჩკოვა (ჩეხეთი) – 61,30 სმ.

# კრისტიან არონი ბრემენში ვერ გამოვა

ქალთა შორის 100 მ. რბენაში ევროპის ჩემპიონი ფრანგი კრისტიან არონი გამოტოვებს ევროპის თასის გათამაშებას, რომელიც ახლო მომავალში გერმანიის ქალაქ ბრემენში გაიმართება. კრისტიან არონს (სურათზე) მწვავე ბრონხიტი გაუმიზეზდა.



<u>ველოსპორტი</u>

# არმსტრონგის ჯილდო ტყუპებიც იქნება



არმსტრონგი

სტარტი აიღო მრავალდღიანმა ველორბოლამ „შვეიცარიის ტური". პროლოგში ყველას გაასწრო ამერიკელმა მრბოლმა ლენს არმსტრონგმა. გამარჯვებულს ჯილდოდ აგრეთვე ერგო ცნობა იმის შესახებ, რომ მისი ცოლი კრისტინი ტყუპებს ელოდება.

*პროლოგი. 8 კმ.*

1. ლენს არმსტრონგი (აშშ) – 9.44
2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) – ჩამორჩენა 5,14
3. ტაილერ ჰემილტონი (აშშ) – ჩამორჩენა 5,27
4. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) – ჩამორჩენა 5.35
5. ბეატ ცბერგი (შვეიცარია) – ჩამორჩენა 7.02

*პირველი ეტაპი*

1. ერიკ ცაბელი (გერმანია) – 4:26.49
2. პაოლო ბეტინი (იტალია)
3. საულიუს რუსკისი (ლიტვა) – ორივეს გამარჯვებულის დრო აქვს.

*საერთო ჩათვლა:*

1. ლენს არმსტრონგი – 4:38,33
2. სერვუს კნავენი (ჰოლანდია) – ჩამორჩენა 0,3
3. ლორან ჟალაბერი – 0,5
4. ტაილერ ჰემილტონი – 0,5
5. ვიაჩესლავ ეკიმოვი – 0,5.

# კირილენკო – ევროპის საუკეთესო კალათბურთელი

ფრანგულმა ყოველკვირეულმა „Basket News" გამოაქვეყნა ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები ევროპის 2000/2001 წლის საუკეთესო კალათბურთელებზე. გამოკითხვაში მონაწილეობდა 60 სპორტსმენი და ჟურნალისტი. ხმების უმრავლესობით ევროპის საუკეთესო კალათბურთელი გახდა ***ანდრეი კირილენკო*** რომელმაც დააგროვა 391 ქულა.



კირილენკო

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ***დეიან ბოდიროგა*** (იუგოსლავია. „პანათინაიკოსი") – 388 ქულა; ***ემანუელ ჟინობილი*** („კინდერი") – 379 ქულა. ***გრეგორ ფუჩკა*** („ტიმსისტემი") – 347; ერიელ მაკდონალდი („მაკაბი") – 298.

„Basket News"-მ აგრეთვე გამოკითხვა ჩაატარა კიდევ ორ ნომინაციაში: საუკეთესო ამერიკელი (რომელიც მონაწილეობს ევროპის პირველობაზე) და საუკეთესო კალათბურთელი, რომლის ასაკი 22 წელზე ნაკლებია.

პირველ ნომინაციაში გაიმარჯვა ***ნეიტ ჰაფმანმა*** („მაკაბი"), ხოლო მეორეში კი ისევ კირილენკომ.

# „შევარდენის" ველოსკოლიდან აშშ-ის კლუბ „ნევიგეიტორსში"



სტარტზეა ვასილი დავიდენკო

### ყოფილი თბილისელი ველომრბოლი კანადის მრავალდღიან რბოლაში ზედიზედ ორჯერ მეოთხე იყო

თბილისში აღზრდილი და „შევარდენის" სპორტსკოლაში დაოსტატებული ველომრბოლი ვასილი დავიდენკო, რამდენიმე წელია რუსეთის მოქალაქე გახდა, მაგრამ ჯერ იტალიის სპორტულ კლუბში, ამჟამად კი აშშ-ის კლუბშია და იქვე ცხოვრობს (სხვათა შორის, მეუღლეც თბილისელი ჰყავს). დავიდენკო არაერთხელ გამოსულა წარმატებით საქართველოს სახელით, შემდეგ ზემოხსენებულ კლუბებში და რუსეთის ნაკრებში. ამჟამადაც იგი რუსეთის სახელით ასპარეზობს. ახლა დავიდენკო კანადის ტრასებზე მონაწილეობს მრავალდღიან რბოლაში. ორ ეტაპზე ყოფილი თბილისელი ზედიზედ მეოთხე იყო.

# პრეზიდენტი პრეზიდენტებს ადმინისტრირებას ასწავლის



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

სასტუმრო „თორი" პროგრეს კურსებ 3-ს მასპინძლობს. სფფ-ს ხელმძღვანელებს და ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბების პრეზიდენტებს უეფას ადმინისტრაციული პანელის წევრი, ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰენრი რომერი მეორე დღეა ადმინისტრირების კურსებს უტარებს. სალექციო თემატიკის დასახელება ნათელს ხდის თუ რაზე ესაუბრება უეფას ჩინოსანი ქართველ კოლეგებს. ესაა: ახალი სატრანსფერო წესები, კლუბების ლიცენზირება, საშუალო ევროპული კლუბების სტრუქტურა, ადგილობრივი და საერთაშორისო მატჩების ორგანიზება-ჩატარება.

*სურათზე: მარცხნივ — სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, მარჯვნივ — ბატონი ჰენრი რომერი.*

# „ვიტ-ჯორჯიას" ევროპული შეღავათები

სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე, რომელიც წესით განვლილი სეზონის ფეხბურთელთა „დამსახურებებს" საბოლოოდ იხილავდა, ერთ კვირაში ისევ შეიკრიბება. მივყვეთ თანამიმდევრულად. სხდომა ბავშვთა ლიგის ინციდენტების განხილვით დაიწყო. ორივე მატჩში მომხდარი უწესრიგობები ხელმეორედ შესწავლას მოითხოვს, რისთვისაც კოლეგია ივნისის ბოლოს კვლავ შეიკრიბება და მათ დაწვრილებით განიხილავს. მოჭარბებულ საკითხთა გაცნობისას კოლეგიამ შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღო: ჭაბუკთა პირველობაზე მოასპარეზე გუნდების ბათუმის „დინამოსა" და ფოთის „კოლხეთის" მატჩში ფოთელი ზაზა გოროზია ორი ყვითელი ბარათის მიღების გამო გააძევეს, იგი ერთ მატჩს გამოტოვებს. ბათუმელი ირაკლი კვაჭაძე მსაჯის გინებისთვის კი სამი მატჩითაა დისკვალიფიცირებული. „დილა" - „სამგურალის" უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პაექრობაში ვახტანგ აკოფიანს და დავით ჭელიძეს ერთმანეთში ჩხუბი 2-2 მატჩის გამოტოვებად და 100-100 ლარად დაუჯდათ. წყალტუბოელ თურმანიძეს - ორჯერ „გაყვითლება" და გაძევება ერთმატჩიან დისკვალიფიკაციად. გორელი დავით მაისურაძე მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის და ალვირახსნილი საქციელისათვის 4 მატჩს გამოტოვებს და 200 ლარ ჯარიმას გადაიხდის. მსაჯს შეაგინა აგრეთვე ფოთის „კოლხეთის" ტექნიკურმა დირექტორმა გია ტყებუჩავამ. ისიც 4 მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 200 ლარითაა დაჯარიმებული. წნორის „მილანის" სათადარიგო მეკარე ჰელა ძამუნაშვილი მსაჯის გინებისთვის 2 თამაშს ვერ ითამაშებს და 100 ლარს გადაიხდის. მას მიბაძა ძირითადმა მეკარემ სომხიშვილმაც და არბიტრს გამოეკიდა საცემრად, რის გამოც სამ მატჩში ვერ იასპარეზებს და 150 ლარით დაჯარიმდა. გორელი ალბერტ საყვარელიძე არაეთიკური საქციელისთვის ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

„ლოკომოტივისა" და „ტორპედოს" სათასო ფინალურ მატჩში მაყურებლებმა ბოთლების სროლა ატეხეს. ერთი ბოთლი ტორპედოელ ფეხბურთელს მოხვდა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ სტადიონის მესვეურებს მეტი ყურადღება მართებთ, კოლეგიამ ისინი ამჯერად მკაცრად გააფრთხილა.

„სიონისა" და თსუ-ს მატჩში ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ თავი ვერ შეიკავა და ჯერ გვერდით მსაჯს გაბრ..აძეს აგინა, მერე მსაჯებს და ინსპექტორს სიმთვრალეც დააბრალა. კოლეგიამ „სიონის" ხელმძღვანელებს პირდაპირ განუცხადა, რომ ჯაფარიძის ანალოგიური გამოხტომის შემთხვევაში, დაისჯება კლუბი და სტადიონი.

„ვიტ ჯორჯია" თბილისის „დინამოს" მატჩში მსაჯმა სერგო კვარაცხელიამ შვიდი ფეხბურთელი გააფრთხილა, ერთი - ვიტელი გიორგი ყიფიანი გააძევა. შეხვედრის დაძაბულობა ამან ვერ მოხსნა, რაც მსაჯისა და ფეხბურთელთა დაპირისპირებაში გადაიზარდა. კვარაცხელიამ ფეხბურთელთა (მელქაძე, დოლიძე, ჭანკოტაძე) და მწვრთნელის ზურაბ ბერიძის აგრესიას გაქცევით დააღწია თავი. ვიტელთა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ კოლეგიას განუცხადა, რომ თავად დაშლის გუნდს, თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება. კლუბის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელებს ფულადი ჯარიმები დაადო. 300-300 ლარი ხელფასი მოეხსნა მელქაძეს და ბერიძეს, ჭანკოტაძეს და ყიფიანს 150-150 ლარი. კოლეგიამ დიდხანს იმსჯელა. მატჩის ყველა მონაწილეს მოუსმინა. გაითვალისწინა გუნდის საინტერტოტო მატჩის მნიშვნელობა, ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა პასუხსაგები მატჩის წინ და ძირითადად პირობითი სასჯელებით შემოიფარგლა. ყიფიანი ერთით და პირობითად 4 თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 50 ლარს გადაიხდის. მკაცრად გააფრთხილეს ჭანკოტაძე, მელქაძე და დოლიძე, ისინიც პირობითად 4 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულები და 50-50 ლარს გადაიხდიან. გუნდის მწვრთნელი გაცილებით მკაცრად დაისაჯა. ზურაბ ბერიძე გუნდის 4 მატჩს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს და 200 ლარ ჯარიმას გადაიხდის.

**საბა ლომინაძე**

# მსაჯები სეზონისთვის მზადებას ივლისში დაიწყებენ

არბიტრების ცხოვრება ისეა აწყობილი, რომ ფაქტობრივად, მათთვის სეზონი არც მთავრდება და ეს, ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, არის გამორჩეული დღე, როცა ყველა მსაჯს თავისუფლად მოლხენის უფლება აქვს. ეს 19 ივნისია, მსაჯის დღე. ჟურნალისტებისა და მსაჯების ურთიერთობა ისე აეწყო, რომ საკმარისია მსაჯებმა ტურნირისა თუ მატჩის მოწყობა გადაწყვიტონ, მათ გვერდით უპირველესად ჟურნალისტები ჩნდებიან და ამხანაგური მატჩიც გარანტირებულია. ასე იყო ამჯერადაც. „შევარდენის" სტადიონზე მასმედიის წარმომადგენლებმა და მსაჯებმა ერთმანეთს მუხლის სიმაგრე გაუსინჯეს. ეს ის შემთხვევაა, როცა მატჩის ანგარიშს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ის სითბო, თანადგომა და ერთმანეთისადმი პარტნიორობის გრძნობა, სილაღე, რაც იმ დღეს „შევარდენზე" სუფევდა.

ახალი სეზონისთვის სამზადისის თადარიგი სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა და მთლიანად სამსაჯო კორპუსმა აქედანვე დაიჭირა. მსაჯებისთვის შვებულება და ინდივიდუალური მზადება თანამდევი პროცესია. კომპლექსურ ვარჯიშს არბიტრები 4 ივლისიდან დაიწყებენ. 15 ივლისამდე ისინი ბორჯომში ან ბაკურიანში ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას გაივლიან. 16 ივლისიდან თეორიული მეცადინეობა დაიწყება. მათთვის უეფას პროგრეს კურსები ჩატარდება. კურსების თემატიკას უეფას მსაჯთა მომზადების ინსტრუქტორი ჰოლანდიელი ბაკერი გააცნობს და მუშაობასაც შეუფასებს.

*სურათზე: საქართველოს მასმედია და ქართველ მსაჯთა კორპუსის სამახსოვრო ფოტო მატჩის წინ.*

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*



# ნელ-ნელა დაბლა ვეშვებით

ეროვნული ნაკრების უნიათობის ლოგიკური შედეგი ფიფამაც გვაუწყა. ფიფა — „კოკა-კოლას" ტრადიციულ სანაკრებო რეიტინგში საქართველოს ეროვნული გუნდი ნელ-ნელა დაბლა ეშვება. რამდენიმე ხნის წინ 66-ე ადგილზე ვიყავით, მერე 72-ე. ივნისში — 78-ე ადგილს ვინაწილებთ ბოსნიასთან ერთად. თუ შესარჩევი ციკლის დარჩენილ მატჩებშიც ასე „წარმატებით" ვითამაშებთ, ადვილი წარმოსადგენია სეზონის ბოლოს ნაკრები რომელ საფეხურზე აღმოჩნდება.

# დღეს კენჭისყრაა

22 ივნისს, 16 საათისთვის ფეხბურთის გულშემატკივრებს ევროთასებზე მოასპარეზე ქართული კლუბების პირველ მეტოქეებს შეიტყობენ, შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს ქუთაისის „ტორპედო", უეფას თასზე თბილისის „ლოკომოტივი" და „დინამო". ქუთაისელთა სავარაუდო მეტოქეთა ვინაობა ცნობილია. ქვემოთ ჩამოთვლილი 18 კლუბიდან ერთ-ერთი 11-18 ივლისს „ტორპედოს" მეტოქე იქნება. ესენია: ალბანეთის „ვლაზნია", სომხეთის „არაქსი", აზერბაიჯანის „შამქირი", ბოსნიის „ჟელეზნიჩარი", ბულგარეთის „ლევსკი", ესტონეთის „ლევადია", ფარერების „ვაგური", ფინეთის „ჰაკა", ისლანდიის „რ..კიავიკი", ირლანდიის „ბოჰემიანსი", ლატვიის „სკონტო", ლიტვის „კაუნასი", ლუქსემბურგის ფ91, მაკედონიის „სლოგა", მალტის „ვალეტა", მოლდოვას „შერიფი", ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი" და უელსის „ბერი თაუნი". სამივე კლუბი ტურნირებში პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 9-23 აგვისტოს გაიმართება. კენჭისყრის ცერემონიას ჟენევაში სასტუმრ.. „ნოგა ჰილტონი" უმასპინძლებს.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 72 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი 50-იან წლების თბილისის „დინამოს" მეკარე**

**შოთა კიტია**

**შოთა კიტია „დინამოს" ღირსებას 1950-55 წლებში იცავდა. უთამაშია საკავშირო პირველობაზე და საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებში. გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივში". 1957 წლიდან ზუგდიდის „დინამოს" წვრთნიდა. სიცოცხლის ბოლომდე იგი ქართულ ფეხბურთს ახალგაზრდა თაობებს უზრდიდა.**

# ვინ არის „ფეხბურთის მეფე"?

## გულშემატკივრის თვალსაზრისი





ამ ბოლო დროს, იშვიათად, მაგრამ მაინც ისევ გაისმის ხმები თუ ვინ არის „ფეხბურთის მეფე" — პელე თუ მარადონა? ვინც მათ გარშემო ხმაურს ტეხს და სიტუაციას ამწვავებს, არ ითვალისწინებს არგუმენტებს, ფაქტებს და ისტორიულად ცნობილ მასალებს პელესა და მარადონას შესახებ.

წინამდებარე წერილში შეძლებისდაგვარად გვინდა ორივე ცნობილი ფეხბურთელის დახასიათება-სურათი ცალ-ცალკე მოვიყვანოთ, შე[..] დაროთ ერთმანეთს და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

დავიწყოთ იმით, რომ ედსონ არანტეს დუ ნასიმენტომ, რომელიც ფეხბურთის სამყაროში პელედ არის მონათლული, მსოფლიო პირველობაზე პირველად მიიღო მონაწილეობა 1958 წელს, როდესაც ის 17 წლის იყო და თავის თანაგუნდელებთან ერთად პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატი შვეციაში ჩატარდა და ის ბრაზილიის ნაკრების სრული ტრიუმფით დამთავრდა. სხვათა შორის, პელე პირველად გამოვიდა ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ და გარინჩასთან ერთად ფურორი მოახდინა. ჩემპიონატში 6 ბურთი გაიტანა, რაც ბრაზილიელ თავდამსხმელთა შორის ყველაზე მეტი აღმოჩნდა.

პელემ ოთხ მსოფლიო ჩემპიონატში (1958, 1962, 1966 და 1970 წ.წ.) მიიღო ზედიზედ მონაწილეობა და სამჯერ გახდა გუნდთან ერთად ჩემპიონი (1958, 1962 და 1970 წ.წ.). მსოფლიოს არც ერთ ცნობილ ფეხბურთელს, არც მანამდე და არც შემდეგ, არ მიუღწევია ასეთი ფანტასტიკური წარმატება-ტრიუმფისათვის.

პელეს ჰქონდა ბურთის ფლობის უმაღლესი ტექნიკა და ხელოვნება, არტისტიზმამდე აყვანილი ჟონგლიორობა, დრიბლინგი, გამომგონებლობა, იმპროვიზაცია, მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი, გამბედაობა და, რაც მთავარია, კარში უძლიერესი დარტყმის უნარი.

პელე ევროპული ფეხბურთელების ნაკლად მიიჩნევდა იმას, რომ მათ წვრთნის დროს ძირითადი აქცენტი გადატანილი ჰქონდათ დიდ ფიზიკურ დატვირთვებზე, რომ ისინი იყენებენ მძლეოსნობის და ძალოსნობის სხვადასხვა ელემენტს. პელეს აზრით, ვერავითარი ვარჯიში ვერ შეცვლის ძლიერ გუნდებთან შეხვედრებს და მათთან თამაშს.

პელე წლის განმავლობაში ასამდე მატჩში მონაწილეობდა, დღეში კი მხოლოდ თითო საათს ვარჯიშობდა, თანაც ისე, როგორც თავად მოესურვებოდა და შეეძლო. პელეს ერთ სეზონში 80 ბურთი გაჰქონდა და ეს მხოლოდ მას შეეძლო. ცნობისათვის დავსძენთ, რომ საბჭოთა კავშირის პირველობაზე თუ რომელიმე გუნდი ერთ სეზონში 80 ბურთს გაიტანდა, მაშინ ეს სარეკორდო მაჩვენებლად ითვლებოდა.

დიეგო მარადონამ არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში პაირველად მიიღო მონაწილეობა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1982 წელს ჩატარდა. არგენტინის ნაკრებმა, გამოდიოდა რა ბარსელონას ჯგუფში ბრაზილიის და იტალიის გუნდებთან ერთად, ორივე თამაში წააგო — ბრაზილიასთან 1-3 და იტალიასთან 1-2, რის შედეგადაც ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და გამოეთიშა მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლას.

ფეხბურთის ბევრ ცნობილ სპეციალისტს ეგონა, რომ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე სიკაშკაშით გაიელვებდა დიეგო მარადონას ვარსკვლავი, რომ თამაშით ღირსეულად დაამშვენებდა ჩემპიონატს. არგენტინელთა მწვრთნელი ლუის მენოტი უკმაყოფილო იყო მარადონას თამაშით. სხვათა შორის, მენოტი მარიო კემპესს, რომელიც 1978 წელს ჩატარებული არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც და საუკეთესო ბომბარდირიც იყო, უფრო დადებითად აფასებდა და მაღლა აყენებდა, ვიდრე დიეგო მარადონას.

არგენტინის ნაკრების ბრაზილიელებთან წაგების (1-3) შემდეგ, ლუის მენოტიმ განაცხადა: „ბრაზილიელები ჩვენზე ძლიერები არიან. ამიტომაც შემთხვევითობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ჩვენ არ შეგვეძლო მათი დამარცხება"...

შეკითხვაზე — „არის თუ არა მარადონა ახალი პელე?" მენოტიმ ლაკონურად უპასუხა: „მარადონა, რომ ახალი პელე გახდეს, ჯერ 1000 ბურთი უნდა გაიტანოს".

მარადონა ჯერ კიდევ 17 წლისაც არ იყო, როცა მრავალ ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობდა. ასე იყო, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ფირმა „კოკა-კოლას" სარეკლამო ტელეფილმებში მონაწილეობდა და გვარიანი ანაზღაურებაც ჰქონდა, სწორედ ამდაგვარი ფინანსური „მოღვაწეობისთვის" დიეგო მარადონას ნაკრებში შეყვანა ლუის მენოტის თავიდან არ უნდოდა.

პელეს თავისი საფეხბურთო კარიერის მთელი ხნის მანძილზე ამდაგვარ მაცდურ საქმიანობაში არასოდეს მიუღია მონაწილეობა, ის ფეხბურთით ცხოვრობდა და მხოლოდ მოწინააღმდეგეთა კარის დალაშქვრაზე ფიქრობდა. მან საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ მიიღო სარეკლამო შეთავაზება, როდესაც მსოფლიოს ბაზარზე გამოჩნდა საუცხოო ხსნადი ყავა „პელე", რომლის სათავეს მისი სურათი ამშვენებს.

მარადონა ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი იყო. ჰქონდა რა კარგი დრიბლინგი, მას შეეძლო განეხორციელებინა სოლო გარღვევა და თავადაც დაერტყა მოწინააღმდეგის კარში. მისი თამაშის დიაპაზონი შეზღუდული იყო და შეტევებს უფრო მარჯვენა ფრთიდან ახორციელებდა. მარადონას თამაში ძირითადად პარტნიორების გადაცემებზე იყო დამოკიდებული, რომელთა გარეშე ის პასიურ მდგომარეობაში ხვდებოდა. ასე რომ, მარადონა არ იყო თამაშის ორგანიზატორი და შესაბამისად გუნდის სრულფასოვანი ლიდერი.

პელე მოქმედებდა ცენტრის უკანა ხაზიდან და თითქმის მთელ მინდორზე თამაშობდა. ის იყო იერიშების ორგანიზატორი და შეტევების დამაგვირგვინებელი, თანაბარი სიძლიერით მოქმედებდა მინდორზე, როგორც თამაშის დასაწყისში, ასევე მის დაბოლოებაში. შეტევის დროს პელეს თამაში მრავალფეროვანი იყო და ყოველთვის იქითკენ იყო მიმართული, რომ მოწინააღმდეგის განლაგებაში მოეძებნა სუსტი ადგილები. პელე თანაბრად ძლიერი იყო, როგორც თავით, ასევე ორივე ფეხით თამაშისას. ის იყო არა მარტო ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი, არამედ, გუნდის გამორჩეული ლიდერიც.

თუ ფეხბურთელთა ყველა მახასიათებელს და კრიტერიუმებს გავითვალისწინებთ და შემდეგ გამოვიყენებთ ამა თუ იმ ფეხბურთელის დახასიათება — შეფასებისთვის, მაშინ უდავოა, საერთო მაჩვენებლებით, პელეზე დაბლა იდგა არა მარტო მარადონა, არამედ, აგრეთვე დი სტეფანო, პუშკაში, ეუსებიო, ონეგა, ალბერტი, ზეელერი და სხვა ცნობილი ფეხბურთელი...

მარადონა თვრამეტი წლის იყო, როდესაც მიატოვა არგენტინა და თავისი მშობლიური გუნდი „ბოკა-ხუნიორსი", გადავიდა ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბარსელონაში", რომელმაც მის შესაძენად 8 მილიონი დოლარი გადაიხადა — ეს იმ დროს ფანტასტიკური თანხა იყო.

პელე ბოლომდე დარჩა ხამშობლო[..], ბრაზილიაში, არ მიუტოვებია თავისი კლუბი „სანტოსი" და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა მასზე პირდაპირ ნადირობა იყო გამოცხადებული, მისი შეძენა სურდათ ესპანეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების ცნობილ კლუბებს. პელემ მხოლოდ მაშინ დატოვა „სანტოსი", როდესაც მან ჩათვალა, რომ ძველებური სიძლიერით უკვე ველარ დაეხმარებოდა და გამოადგებოდა მშობლიურ კლუბს...

გვახსენდება 1965 წელი, როდესაც ბრაზილიის ნაკრები მოსკოვში ჩავიდა და ამხანაგურ მატჩში შეხვდა საბჭოთა ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მესხი, მეტრეველი, ბარქაია, გიორგი სიჭინავა და ხურცილავა. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა პელეს პერსონალურ მეურვედ მიუჩინა ტექნიკურად და ფიზიკურად ძლიერი გიორგი სიჭინავა, რომელიც იმ დროს მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უძლიერეს ნახევარმცველად ითვლებოდა. ის ფეხდაფეხ დასდევდა პელეს, მაგრამ მისი შეჩერება ვერაფრით ვერ შეძლო. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო პელეს მიერ გატანილი გოლი, როცა მან ბურთი თავით მიიღო, მკერდზე ჩამოიგორა, შემდეგ ფეხზე მოირგო და შეუჩერებლად ისეთი ყუმბარისებური დარტყმა განახორციელა, რომ იაშინი უძლური აღმოჩნდა და ბურთი მის ბადეში გაეხვია. ეს ყველაფერი ისე ელვისებურად მოხდა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები გაქვავებულები ერთმანეთს მისჩერებოდნენ და ვერ გარკვეულიყვნენ თუ რა მოხდა. თამაშის დამთავრების შემდეგ, ყველაზე გაოგნებული ვლადიმერ ბარქაია იყო. მან გულწრფელად აღიარა პელეს ვირტუოზული თამაში და დაუმატა: „მე დღემდე მეგონა, რომ ფეხბურთის თამაში შემეძლო"...

დიეგო მარადონასთან დაკავშირებით გვახსენდება 1990 წლის შემოდგომა, როდესაც ის ვიხილეთ მოსკოვის ლუჟნიკების ცენტრალურ სტადიონზე, როგორც იტალიის „ნაპოლის" კაპიტანი. მან მხოლოდ სტადიონზე გამოსვლით და თავისი ძველი სახელით თითქოსდა დაჩრდილა დანარჩენი ფეხბურთელები. მას მხურვალედ მიესალმებოდნენ გულშემატკივრები, ულებდნენ ტელე და კინო კამერებით, მაგრამ თვით მატჩის დაწყებიდან ბოლო წუთამდე მარადონა თავისი თამაშით არაფრით გამოირჩეოდა და ის იმჟამინდელი საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში მონაწილე ფეხბურთელების დონეზე გამოიყურებოდა.

იყო დრო, როდესაც პელეს სახელი მთელ მსოფლიოში ჰქუხდა და გრგვინავდა. ამბობდნენ, რომ 1967 წელს ირანის შაჰი მოჰამე[.] რეზა ფეჰლევი ორ საათს უცდიდა აეროპორტში იმ თვითმფრინავს, რომლითაც პელე მოფრინავდა. და, იცით რატომ? მხოლოდ იმისათვის, რომ შაჰს პელესთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაეღო. ხოლო 1969 წელს აფრიკის ორი სახელმწიფოს არმიებმა ერთმანეთის მიმართ დაწყებული საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტეს და ზავი გამოაცხადეს იმ ხნით, სანამ პელეს შეეძლებოდა ორივე მხარის ჯარისკაცებისათვის ეჩვენებინა ბურთის ფლობის ტექნიკა და ხელოვნება.

პელემ აქტიური ფეხბურთის თავის დანებების შემდეგ კომერციულ საქმიანობას მიჰყო ხელი. მან უამრავი კაპიტალი დააგროვა და ბრაზილიის მილიონერთა ელიტაში შევიდა. ის ქველმოქმედებას ეწევა და მრავალი საფეხბურთო ტურნირის თუ მატჩის საპატიო სტუმრად გვევლინება. რაც შეეხება მარადონას, მან თავი გაითქვა ნარკოტიკების მიღებით და დღესაც მკურნალობს.

ფეხბურთიდან პელეს წასვლამ ძალზე ნეგატიურად იმოქმედა ბრაზილიელთა შემდგომ შედეგებზე. ამჟამად ფეხბურთის დონემ პელეს სამშობლოში ძალზე დაიწია და კარგა ხანია ბრაზილიის ნაკრების გამოსვლები წარუმატებლად მიმდინარეობს.

ალბათ, საინტერესოა გავიხსენოთ თუ რას ამბობდა ჯერ კიდევ ათი წლის წინ ფიფას იმჟამინდელი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი: „... ხშირად მეკითხებიან, რატომ იკლო ბრაზილიის ნაკრების წარმატებებმა, რატომ ჩაქრა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა თამაში. ეს დაკავშირებულია ბრაზილიის ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. მძიმე ჩავარდნა სხვა დარგებთან ერთად ფეხბურთსაც შეეხო. სპორტული კლუბები გაღარიბდნენ, ვერ უზრუნველყოფენ მოთამაშეთა მზადების მაღალ დონეს. უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი ტოვებს სამშობლოს და უცხოეთში მიემგზავრება სათამაშოდ"... (გაზეთი „ლელო", №156. 20.08.1991 წ.).

აველანჟის შორსმჭვრეტელური და გონივრული სიტყვები ამჟამადაც დამაფიქრებლად გაისმის და ზუსტად მიესადაგება დღევანდელი საქართველოს და ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობას...

როდესაც პელეს და მარადონას ერთმანეთს ადარებენ, ზოგიერთები უკანასკნელს წინ აყენებენ და გაიძახიან, რომ „ფეხბურთის მეფე" მარადონაა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი შეფასება ძირშივე მცდარია და თვით ამგვარად მოაზროვნენი ფეხბურთის ისტორიაში გაუთვითცნობიერებულები და დილეტანტები არიან.

თუ ფეხბურთი „სპორტის მეფეა", მაშინ პელეს დამსახურებულად უწოდეს მსოფლიოში „ფეხბურთის მეფე". გადის წლები და მისი ღირსეული შემცვლელი და მემკვიდრე დღემდე არადა არ ჩანს. პელეს სახელი იყო და არის შარავანდედით მოსილი. ის წავიდა დიდი ფეხბურთიდან და... დარჩა მსოფლიოში „ფეხბურთის მეფედ".

საბოლოო დასკვნა ერთნიშნაა — პელეს და მარადონას დაპირისპირება — შედარების დროს აუცილებლად გვმართებს დავიცვათ ზომიერება, ობიექტურობა და სამართლიანობა.

ბურამ ჩხიკვაძე

## ბავშვთა ფეხბურთი



### გია ქუმსიაშვილის შეგირდებმა ყველას აჯობეს

დასრულდა სფფ-ს ეგიდით თბილისის ბავშვთა საფეხბურთო პირველობა 1990 წლიანთა შორის. 20 გუნდიდან ორი რჩეული „ავაზა"-90 და „დიდუბე"-1 („დინამო") შეხვდნენ ფინალში. „შევარდენის" სტადიონზე ქინიანად იბრძოლეს ნორჩებმა. მატჩი ფრედ 0-0 დასრულდა. პენალტების სერიაში ავაზელებს გაუმართლა — 4-3. მესამე ადგილზე გავიდა „შევარდენი", მეოთხეზე — „დიდუბე" („დინამო"-2).

გამარჯვებულთა გუნდში თავი გამოიჩინეს ირაკლი შიოლაშვილმა, ლევან მაჭავარიანმა, ილია გურგენიძემ, გიორგი ემხვარმა, ლაშა ძაძამიამ, მიხეილ ფეზუაშვილმა, ვანო ჭაბუკიანმა, თორნიკე მახარაშვილმა, მერაბ წეროძემ, გიორგი ბოჭორიშვილმა, აჩიკო გობეჯიშვილმა, ლაშა ბრეგვაძემ, დათო კაკულიამ, ლაშა ფირცხალაიშვილმა, სოსო ქინქლაძემ, თემურ წულაიამ, მიშიკო ნიკოლაიშვილმა, გიორგი ბაზალელმა, შაკო პაპოშვილმა და სხვ. ამ გუნდის ჩამოყალიბებისათვის მათი მწვრთნელი გია ქუმსიაშვილი მადლობას იმსახურებს.

გია გრიგოლაშვილი

# მექსიკელები კვლავ მარცხდებიან

გაიმართა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები კონკაკაფის ზონაში. ზედიზედ მეექვსე (!) შეხვედრა წააგო მექსიკის ნაკრებმა. 50 000 მაყურებლის თანდასწრებით ჰონდურასის ნაკრებმა პავონის ჰეთ-თრიკის წყალობით სძლია მეტოქეს.

გააგრძელა წაუგებელი სერია საკუთარ მინდორზე აშშ-ს ნაკრებმა, რომელმაც სძლია ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებს, ეს ამერიკელთა ზედიზედ 19 შეხვედრაა წაუგებლად შინ.

**ჰონდურასი — მექსიკა 3-1**
1-0 პავონი (32), 2-0 პავონი (55), 3-0 პავონი (64 პენ), 3-1 რუისი (86).


აშშ – ტრინიდადი და ტაბაგო

**აშშ — ტრინიდადი და ტობაგო 2-0**
რაზოვი (2), სტიუარტი (20)


ჰონდურასი – მექსიკა

**კოსტა რიკა — იამაიკა 2-1**
1-0 მარინი (4), 1-1 ლოქი (10), 2-1 ვანჩოპე (38).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 4 | 1 | 0 | 7-1 | 13 |
| კოსტა რიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| ჰონდურასი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 |
| იამაიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 |
| მექსიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-8 | 4 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

## ოკეანიის ზონა


ახალი ზელანდია – ავსტრალია

გაიმართა ფინალური სტადიის პირველი შეხვედრა ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებებს შორის.

შეხვედრა მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში, რომლის დასაწყისში ავსტრალიის ნაკრებისა და ჰოლანდიის „ფეიენოორდის" ნახევარმცველმა ბრეტ ემერტონმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ახალი ზელანდიის ფეხბურთელებმა ტემპს მოუმატეს და მრავალი სახიფათო მომენტები შექმეს ავსტრალიელთა კართან, მაგრამ მათ ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება, ხოლო მეტოქეთა ერთ-ერთი კონტრშეტევა შეხვედრის 84-ე წუთზე იმავე ემერტონმა მეორე გოლით დააგვირგვინა.

განმეორებითი შეხვედრა 24 ივნისს გაიმართება ავსტრალიაში.

**ახალი ზელანდია — ავსტრალია 0-2.**
0-1 ემერტონი (5), 0-2 ემერტონი (84).

## ლიბერტადორესის თასის ფინალი ● I შეხვედრა

**«კრუს ასული» (მექსიკა) — «ბოკა ხუნიორსი» (არგენტინა) 0-1**

ცნობილმა არგენტინელმა კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, რომ ზედიზედ მეორედ მოიპოვოს ლიბერტადორესის თასი. მან მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე 115 000 მაყურებლის თანდასწრებით სძლია „კრუს ასულს".

წლევანდელი თასის გათამაშების წინა ექვსი შეხვედრა „აცტეკაზე" დამთავრდა მექსიკელთა გამარჯვებით. ამ შეხვედრაში ერთადერთი ბურთი გაიტანა მარსელო დელგადომ შეხვედრის 79-ე წუთზე.

განმეორებითი მატჩი გაიმართება მომავალ კვირას ლეგენდარულ „ბომბონერეზე", სადაც „ბოკას" სულ 5 მატჩი აქვს წაგებული ლიბერტადორესის თასზე 41 წლის განმავლობაში.


კრუს ასული – ბოკა ხუნიორსი

## რუსეთის თასის ფინალი

**ლოკომოტივი — ანჟი 1-1 (5-4 პენ)**
0-1 სირხაევი (90), ჯანაშია (90).
პენალტები: აგალაროვი (1-2), იზმოლოვი (2-2), აკაევი (მეკარემ მოიგერია — 2-2), ლეკხეტო (3-2), სირხაევი (3-3), ჩუგაინოვი (მეკარემ მოიგერია 3-3), რახიმიჩი (კარს აცილა 3-3) მამინოვი (4-3), იასკოვიჩი (4-4), ლოსკოვი (5-4).

# მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

### A ჯგუფი

**არგენტინა — ეგვიპტე 7-1**
0-1 ელ-იამინი (4), 1-1 სავიოლა (7), 2-1 სავიოლა (15 პენ), 3-1 კოლოჩინი (19), 4-1 სავიოლა (43), 5-1 რომანოლი (54), 6-1 როდრიგესი (65), 7-1 როსალესი (68).

**ფინეთი — იამაიკა 1-0**
ვარიუნენი (85).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| იამაიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-7 | 1 |

### B ჯგუფი

**ბრაზილია — ერაყი 6-1**
1-0 ფერნანდო (8 პენ), 2-0 პინია (14), 3-0 რობერტი (27), 4-0 ანდრიანო (29), 5-0 რობერტი (50), 6-1 რიადხა (81).

**გერმანია — კანადა 4-0**
აუერი (17,66,71), პროისი (83).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| ერაყი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-6 | 3 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

### C ჯგუფი

**აშშ — ჩილე 4-1**
1-0 ბისლი (6), 1-1 ვალდესი (27), 2-1 ბისლი (39), 3-1 დევისი (68), 4-1 ბადლი (75).

**ჩინეთი — უკრაინა 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| ჩილე | 2 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |


ბრაზილია – ერაყი

ლოკომოტივი» ზეიმობს...



## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## უკრაინა

დინამო (კიევი) — დნეპრი 2-1
შახტარი — მეტალურგი (დონეცკი) 3-1
ცსკა — სტალი 1-1
ნივა — ტავრია 0-2
მეტალურგი (ზაპოროჟიე) — მეტალურგი (მარიუპოლი) 1-0
ვორსკლა — მეტალისტი 0-1
კარპატი — კრივბასი 2-1

**საბოლოო ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო კიევი | 26 | 20 | 4 | 2 | 58-17 | 64 |
| შახტარი | 26 | 19 | 6 | 1 | 71-21 | 63 |
| დნეპრი | 26 | 17 | 4 | 5 | 37-18 | 55 |
| მეტალურგი (დონეცკი) | 26 | 11 | 9 | 6 | 30-24 | 42 |
| მეტალურგი (მარიუპოლი) | 26 | 12 | 4 | 10 | 34-27 | 40 |
| ცსკა | 26 | 10 | 10 | 6 | 29-22 | 40 |
| მეტალურგი (ზაპოროჟიე) | 26 | 9 | 8 | 9 | 28-31 | 35 |
| ტავრია | 26 | 8 | 9 | 9 | 24-31 | 33 |
| მეტალისტი | 26 | 8 | 7 | 11 | 27-37 | 31 |
| კარპატი | 26 | 9 | 3 | 14 | 33-42 | 30 |
| კრივბასი | 26 | 6 | 7 | 13 | 23-37 | 25 |
| ვორსკლა | 26 | 5 | 6 | 15 | 17-30 | 21 |
| სტალი | 26 | 3 | 6 | 17 | 18-47 | 15 |
| ნივა | 26 | 2 | 3 | 21 | 20-65 | 9 |

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რამ გადაწყვიტა 1964 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის (იტალია — სსრკ) ბედი:***
ა) დამატებითმა დრომ
ბ) 11 მეტრიანების სერიამ
გ) წილისყრამ

***2. ვინ გაიტანა გადამწყვეტი პენალტი 1976 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში (ჩეხოსლოვაკია — გფრ):***
ა) ონდრუშმა
ბ) ნეჰოდამ
გ) პანენკამ

***3. ვინ შეასრულა „დუბლი" 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში (გერმანია — ჩეხეთი):***
ა) ბირჰოფმა
გ) კლინსმანმა
გ) შტრუნცმა

***4. ვინ გახდა 1986 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელი:***
ა) მ. ვან ბასტენი
გ) ო. პროტასოვი
გ) ტ. ჩოლაკი

***5. ვინ გაიტანა გამარჯვების გოლი 1999 წლის სუპერ თასის ფინალში (ლაციო — მანჩესტერი 1-0).***
ა) ს. ინძაგიმ
ბ) მ. სალასმა
გ) პ. ნედველმა

წინა ნომრის პასუხები:
1 — ა, 2 — ა, 3 — ბ, 4 — გ, 5 — ა.



# კაპელო – ჩემპიონების „მჭედელი“

### იტალიის ჩემპიონატის შედეგები

„რომას“ გულშემატკივრების მეტად მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს და მდიდარი მეცენატებიც არასოდეს აკლდა. მისი ემბლემაც ძუ მგელია, რომლის ქანდაკებასაც იტალიის ნებისმიერ მუზეუმში შეხვდებით, სწორედ ის ძუ მგელი, რომელმაც ლეგენდარული ტყუპი ძმები: რომულუსი და რემუსი გამოკვება. ის კი პირდაპირ გასაოცარია, რომ ესოდენ პოპულარული კლუბი წელს მხოლოდ მესამედ, 1942 და 1983 წლების შემდეგ გახდა იტალიის ჩემპიონი. შეადარეთ ეს ტურინის „იუვენტუსის“ 25, ან „მილანის“ 16 სკუდეტოს. თუმცა იმასაც გვეტყვიან, რომ დღეს კაპელოს გუნდი „იუვენტუსზეც“ და „მილანზეც“ ძლიერია.

ისე კი, „რომას“ გულშემატკივრები თავიანთი საყვარელი კლუბის გაჩემპიონებას ცოტა ადრე, XXXIII ტურში ელოდნენ. ამისათვის საჭირო იყო სტუმრად უკვე განწირული „ნაპოლის“ დამარცხება. თუმცა ახლა მოქმედი იტალიური, დაუწერელი, ისე კი, ნამდვილად სანაქებო კანონებით განწირულობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ქულების დათმობას. ეს პირველ რიგში „რომას“ მესვეურებმა იცოდნენ, რომლებმაც ნეაპოლის „სან-პაოლოს“ სტადიონის დირექციას მოსთხოვეს 25 ათასი რომაელი გულშემატკივრისათვის ადგილის გამოყოფა. ამდენი სადა გვაქვსო და სტუმრებს 4200 ადგილი განუკუთვნეს. მაშინ ქ. რომის ადმინისტრაციამ იზრუნა იმ 150-180 ათას გულშემატკივარზე, რომლებიც თამაშს ვერ დაესწრნენ. მათ თავი მოიყარეს სან ჯოვანის პარკში, ნაწილობრივ კი ჯერ ქრისტეს დაბადებამდე არსებულ „ჩირკო მასიმოში“. ეს „დიდი ცირკი“ პირველად დაეთმო ამდენ ტიფოზს, რომლებიც დიდ ეკრანებზე ადევნებდნენ თვალს თამაშს. რა ვუყოთ, რომ „ნაპოლის“ თავდამსხმელმა ამორუზომ (არ ავურიოთ „ფიორენტინას“ ფორვარდ ამოროზოში) ანგარიში გახსნა. ამას ხომ ბატისტუტასა და ტოტის საპასუხო გოლები მოჰყვა და 82-ე წუთამდე სტუმრები იგებდნენ. რომაელი გულშემატკივრები ზეიმობდნენ. ზოგი ხეზე აძვრა, ზოგი ბოძზე. ამასობაში კი პეკიამ ანგარიში გაათანაბრა — 2-2 და ზეიმიც გადაიდო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაზარალებული „რომას“ იაპონელი ნახევარმცველი ნაკატა იყო. მან თავის სამშობლოში კონფედერაციის თასი მიატოვა (ვინძლო მისი მონაწილეობით იაპონელებს იოკოჰამაში ფრანგებისთვის უფრო ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიათ), თავისი ნაკრების მწვრთნელ ფილიპ ტრუსიეს წყენაც არაფრად ჩააგდო, რათა ნეაპოლში დროულად ჩასულიყო. ერთი სიტყვით, ორი კურდღლის მდევრის როლში გამოვიდა.

არა უშავს. რასაც ნეაპოლში ვერ მიაღწია, „რომამ“ ბოლო ტურში საკუთარ მინდორზე შეძლო, „პარმას“ სძლია 3-1 და ჩემპიონი გახდა. 34 მატჩიდან 74 ქულა მოაგროვა (22 მოგება, 9 ფრე, 3 წაგება, ბურთები 68-31), რაც უდავოდ დიდებული შედეგია. ფაბიო კაპელომ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ადრე მისი მოთავეობით „მილანიც“ იყო ჩემპიონი და მადრიდის „რეალიც“, ახლა „რომაც“ დაემატა და რიცხვი გასამდა. ბატისტუტას „რომში“ გადასვლა მისთვისაც მეტად სასარგებლო გამოდგა (9 სეზონი „ფიორენტინაში“ ამაოდ დაშვრა), მისმა გატანილმა ოცმა გოლმა დიდი საქმე გააკეთა. ისე კი, თავი გამოიჩინა ახალი ჩემპიონის კიდევ ორმა თავდამსხმელმა: მონტელამ (თუმცა საკმაოდ იშვიათად თამაშობდა, ხშირად კი მეორე ტაიმიდან), 14 გოლი გაიტანა, ტოტიმ კი — 13.

ტურინის „იუვენტუსმა“ შარშან თუ შემთხვევით დაუთმო ჩემპიონობა „ლაციოს“, წელს ნამდვილად „რომაზე“ უარესი იყო. მან 21 მატჩი მოიგო, 10 ფრედ დაასრულა, 3 წააგო, ბურთების სხვაობა 61-27 იყო, 73 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი არავის ჩაეთვლება მარცხად, და, რა თქმა უნდა, არც „ბებერ ქალბატონს“, მაგრამ ჩემპიონატის მიწურულს ტურინელთა დირექტორატმა მაინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: სჯობს ახალი სეზონიდან „იუვენტუსში“ ისევ მარჩელო ლიპი დაბრუნდეს. კარლო ანჩელოტი, რა გაეწყობოდა, დუმილით შემოიფარგლა. მან ხომ „იუვენტუსის“ სათავეში ორჯერ ზედიზედ მეორე ადგილი დაიკავა. ამჯერად „იუვენტუსის“ თავდამსხმელებს რაიმე განსაკუთრებული მიღწევა არა ჰქონიათ: ტრეზეგემ (თუმცა საკმაოდ იშვიათად თამაშობდა) 14 გოლი გაიტანა, ადრინდელმა „სუპერსნაიპერმა“ ფ. ინძაგიმ — 11, დელ პიერომ — 10.



კრესპო

შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ „ლაციო“ დინო ძოფის ხელმძღვანელობით ბევრს ვერაფერს დაიკვეხნის: მესამე ადგილი 69 ქულით (21 მოგება, 6 ფრე, 7 წაგება, ბურთები 65-36). ის კია, რომ ნამდვილად გაიბრწყინა „ლაციოს“ არგენტინელმა სნაიპერმა კრესპომ — 26 გოლი იტალიის ჩემპიონატში როგორი გასატანია? ბოლო ტურში, რახან მაინც არაფერი გამოსდიოდა, „ლაციომ“ ჩაიქნია ხელი, წააგო „ლეჩესთან“ 1-2, რომელმაც ამით „სერია A“-ში ადგილი შეინარჩუნა.

იტალიურ პრესაში დიდი დავა იყო, ღირდა კი „პარმას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან უდავოდ ნიჭიერი და ერუდირებული ალბერტო მალესანის განთავისუფლება და მისი რენცო ულივიერით შეცვლა. „მუნჯის ენა დედამ იცისო“ — იტყვის ქართველი-ჰოდა, მალესანმაც იცოდა „პარმას“ ფეხბურთელების „ენა“. ულივიერიმ მდგომარეობა ვერაფრით გააუმჯობესა, თუმცა პროგრამა-მინიმუმი კლუბმა მაინც შეასრულა, 56 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა (16 მოგება, 8 ფრე, 10 წაგება, ბურთები 51-26, საუკეთესო სნაიპერი დი ვაიო — 15 გოლი) და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

უეფას თასზე გამოვლენ „ინტერი“ (51 ქულა), „მილანი“ (49) და იტალიის თასის მფლობელი „ფიორენტინა“ (43). ვნახოთ, რას მოუხერხებს „ინტერს“ მართლაც დიდებული არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი. რაც შეეხება „მილანს“, აქ ისე მოხდა, როგორც ადრე იყო გამოცხადებული: ფათიხ თერიმი მთავარი მწვრთნელი ხდება, რომელიც „მილანში“ თავისი თანაშემწეებით მივიდა, ჩეზარე მალდინი კი კვლავ სელექციონერის როლს შეასრულებს. რაც შეეხება შევჩენკოს, იგი 24 გატანილი გოლით ჩემპიონატის მეორე სნაიპერამდე „ჩამოქვეითდა“, „ინტერის“ ბომბარდირმა ვიერიმ ბევრი მატჩი გააცდინა, მაგრამ მაინც 18 გოლი გაიტანა.

დანარჩენი კლუბებიდან უნდა აღინიშნოს, ასე ვთქვათ, „ღრმად პროვინციული“ „ბრეშია“. იგი ამ სეზონში დაუბრუნდა „სერია A“-ს და ბევრს ისევ „სერია B“-ში დასაბრუნებლად ემეტებოდა. სინამდვილეში კი აი რა მოხდა: დიდად გამოცდილმა მწვრთნელმა კარლო მაცონემ თანდათანობით მეტად მტკიცე და ბრძოლისუნარიანი ანსამბლი ჩამოაყალიბა, რომელმაც მეორე წრეში პირდაპირ ფურორი მოახდინა. ვინ იფიქრებდა, რომ „ბრეშია“ მერვე ადგილზე გავიდოდა. მეტად შედეგიანად ითამაშა თავდამსხმელმა ჰიუბნერმა (გერმანული წარმოშობის იტალიელი და არა ლეგიონერი), 17 გოლი გაიტანა. რაც შეეხება 1993 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, 34 წლის რობერტო ბაჯოს, მან სეზონი პირდაპირ ბრწყინვალედ წარმართა. იგი „ბრეშიას“ ნამდვილი ლიდერი იყო (10 გოლიც გაიტანა), ახლა კი ჟურნალისტების აზრით, ტრაპატონიმ იტალიის ნაკრებშიც უნდა დააბრუნოს — უკეთესი ვინა ჰყავს!



რობერტო ბაჯო

ბერგამოს „ატალანტამ“ და „ბრეშიამ“ დამატებითი მატჩი უნდა გამართონ ინტერტოტოს თასზე გამოსვლის უფლებისათვის.

„სერია A“-ს, დებულების თანახმად, ოთხი კლუბი ტოვებს. სამი მათგანი უკვე გამოვლინდა: „ბარი“ (20 ქულა, დიდი ხანია განწირული იყო), „ნაპოლი“ (36) და „ვიჩენცა“ (36). რაც შეეხება „ვერონასა“ და „რეჯინას“ (37-37), ისინი ერთმანეთს დამატებით მატჩში შეხვდებიან და გამარჯვებული უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას შეინარჩუნებს.

**ბიჭი ბამრეკელი**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ბონისელის შეძენა ბევრს სურს

**„ბორდოს“ ცენტრალური მცველი ჟერომ ბონისელი ამჟამად უძლიერესია საფრანგეთში და ეროვნულ ნაკრების უპირველესი კანდიდატია. იგი ლებეფ-დესაის წყვილშია, ეტყობა ლებეფს ჩაენაცვლება.**

**28 წლის ბონისელის შეძენა ახლა ინგლისის პრემიერ-ლიგაში დაბრუნებულ „ბლეკბერნ როვერსს“ სურს, რომელსაც კიდევ ერთი ინგლისური კლუბი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ ეცილება.**

**რაც შეეხება „ბორდოს“, მას ბონისელის გაყიდვით აღებული ფულით თავისი ყოფილი მცველის ბიქსან ლიზარაზუს დაბრუნება სურს, რომელიც ახლა, როგორც ცნობილია, მიუნხენის „ბაიერნში“ გამოდის.**

### თურქები ძალიან სთხოვენ, მაგრამ ბაჯო უარზეა

თურქეთის ჩემპიონმა „ფენერბახჩემ“ გადასვლა შესთავაზა რობერტო ბაჯოს და მაშინვე უარი მიიღო, თუმცა იტალიელს წელიწადში 5 მილიონ დოლარს ჰპირდებოდა.

ახლა „ფენერბახჩეს“ მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ განაახლა თხოვნა. იგი თვლის, რომ 34 წლის რ. ბაჯო აშკარად გააძლიერებს მის კლუბს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა ბაჯოს ძალიან სურს, მაგრამ უფრო მეტად აინტერესებს გაისად მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა. მან ბრწყინვალედ წარმართა იტალიის 2000-2001 წლების ჩემპიონატი და ახლა ყოველნაირად ცდილობს ჯოვანი ტრაპატონის ყურადღების მიპყრობას, გარდა ამისა, აცხადებს, რომ სანამ კარლო მაცონე „ბრეშიაშია“, იგი ამ კლუბს არ დატოვებს.

### „მარსელს“ დიდი ვალები აქვს და...

**როგორც საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ჟერარ ბორგუენმა განაცხადა, შეიძლება მარსელის „ოლიმპიკმა“ ფინანსური მიზეზების გამო პირველი დივიზიონი დატოვოს.**

**ამას წინ უძღოდა ლიგის ფინანსური კონტროლის კომიტეტის დასკვნა, რომ „ოლიმპიკსა“ და „ტულუზას“ არ შეუძლიათ გარანტიების წარმოდგენა, რომ შეჯიბრების ჩატარების ყველა პუნქტს დაიცავენ. ასე, მაგალითად, ექსპერტების შეფასებით, მარსელის „ოლიმპიკს“ 35 მილიონი დოლარი ვალი აქვს. „ოლიმპიკმა“ და „ტულუზამ“ უკვე წარადგინეს აპელაცია და ახლა ორი კვირა აქვთ, რათა თავიანთი სიმართლე დაამტკიცონ. გავიხსენოთ, რომ 1994 წელს მარსელის „ოლიმპიკი“, რომელიც მაშინ ჩემპიონთა თასს ფლობდა, ლიგის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მეორე დივიზიონში გადაიყვანეს. „ტულუზამ“, თუმცა წელს საფრანგეთის თასი მოიპოვა, უკვე დატოვა პირველი დივიზიონი ჩემპიონატში განცდილი მარცხის გამო. ახლა მისი დასჯა იმაში გამოიხატება, რომ მეორედან მესამე დივიზიონში გადაიყვანენ.**

**თუ ლიგამ გადაწყვეტილება მიიღო „ოლიმპიკის“ (მარსელი) მეორე დივიზიონში გადაყვანის შესახებ, მაშინ ადგილს პირველში „სენტ-ეტიენი“ შეინარჩუნებს, რომელმაც ჩემპიონატში მე-18 ადგილი დაიკავა.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### 1 ივლისს მონტევიდეოში: ურუგვაი – ბრაზილია

1 ივლისს მონტევიდეოში გაიმართება მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკული შესარჩევი ტურნირის ადრე გამოტოვებული, მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ურუგვაისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის.

ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ პუამ თავი მოუყარა 25 მოთამაშეს, რომელთა დიდი უმრავლესობა (17) ლეგიონერია, აქედან 16 ევროპიდან და 1 მექსიკიდან. მონტევიდეოში უკვე ვარჯიშობს ორი ყველაზე ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი: ალვარო რეკობა მილანის „ინტერიდან“ და პაოლო მონტერო ტურინის „იუვენტუსიდან“.

### „ჩელსის“ ახალგაზრდების იმედი აქვს

**„ჩელსიმ“ მარსელის „ოლიმპიკიდან“ შეიძინა საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ვილიამ გალასი, რასაც „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან“ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტან ნახევარმცველ ფრანკ ლამპარდის გადაბირება მოჰყვა 16 მილიონ დოლარის ფასად.**

### ორი მსაჯი ერთდროულად? რატომაც არა!

როგორც უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა განაცხადა, მისი ორგანიზაცია განიხილავს ორი მსაჯის მინდორზე ერთდროულად მოქმედების საკითხს.

შეიძლება კიდევ ერთ მსაჯს სპეციალური დავალებაც მიეცეს. მან მხოლოდ ერთ მომენტს უნდა ადევნოს თვალი: გადაკვეთა ბურთმა კარის ხაზი თუ არა. ფიფა ამ სიახლეების წინააღმდეგია.

### შეიძლება აღდგეს სახელოვანი „დუეტი“

**შეიძლება ახალი სეზონიდან აღდგეს სახელოვანი „დუეტი“ რომარიო – რონალდო. საქმე ისაა, რომ მილანის „ინტერი“ განიხილავს რომარიოს მიწვევის საკითხს, რომელიც ახლა რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამაში“ თამაშობს.**

**„ინტერი“ ადრეც იჩენდა ინტერესს „დაგვაჯულისადმი“, მაგრამ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ამ ტრანსფერს ვეტო დაადო. ახლა, მორატის გადადგომის შემდეგ კლუბმა კვლავ აღძრა ეს საკითხი. „ვასკო და გამას“ პრეზიდენტ ეურიკო მირანდასთან დაიწყო მოლაპარაკება რომარიოს ყიდვის შესახებ.**

### შმაიხელს ჯერ არ გადაუწყვეტია

როგორც ცნობილია, განთქმულმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა შარშან ჯერ დანიის ნაკრები დატოვა, სადაც გზა ახალგაზრდებს დაუთმო, ამ დღეებში კი განაცხადა, რომ ლისაბონის „სპორტინგშიც“ შეწყვეტს თამაშს.

ჯერ ნათელი არ არის, საერთოდ ამთავრებს მეკარე საფეხბურთო კარიერას თუ დანიის რომელიმე კლუბში ითამაშებს.

— ჯერჯერობით დასვენებას ვაპირებ და შესაძლო ვარიანტებზეც ვიფიქრებ — განაცხადა 37 წლის შმაიხელმა.

### ამავისკას ახალი კონტრაქტი

**30 წლის ხოსე ამავისკა, რომელიც კარგა ხანს მადრიდის „რეალში“ თამაშობდა და ესპანეთის ნაკრებშიც გამოდიოდა, უკანასკნელ სეზონში სანტანდერის „რასინგის“ წევრი იყო. წლევანდელ სეზონში „რასინგი“ ძალზე უხეიროდ გამოვიდა და ესპანეთის უმაღლეს ლიგას სტოვებს. თვით ამავისკას არ სურს დაბალ დივიზიონში თამაში და ამიტომაც ქ. ვიტორიის „ალავესთან“ გააფორმა ხელშეკრულება.**

### ბლოხინი აეკ-ში იმუშავებს

როგორც ათენის კლუბ აეკ-ის პრეზიდენტმა, სკლავანეტისმა განაცხადა, შეწყდა კონტრაქტი მაკედონიელ სპეციალისტ ტონი სავევსკისთან, რომელმაც აეკ-ში 13 წელი იმუშავა.

სავევსკის ნაცვლად მთავარი მწვრთნელი გახდება კიეველი ოლეგ ბლოხინი, რომელსაც ბერძნულ კლუბებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. უკანასკნელად იგი „იონიკოსს“ უძღვებოდა, რომელმაც უეფას თასზე მონაწილეობის უფლება მიიღო.

### ახალი ლეგიონერები „ფიორენტინაში“

**„ფიორენტინამ“ შეიძლება რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაკარგოს, ამიტომ სასწრაფოდ შეიძინა ორი ლეგიონერი. ესენია იუგოსლავიის ნაკრების ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი, „ლაციოში“ გამოდიოდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მტკიცე ადგილი არა ჰქონდა, და შვედი ნახევარმცველი დანიელ ანდერსონი (იგი „ბარიში“ თამაშობდა).**

## უიმბლდონის წინ

# ვის უყვარს ბალახის საფარი?

საცაა დაიწყება ინგლისის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელიც უფრო უიმბლდონის სახელითაა ცნობილი. არიან ჩოგბურთელები, რომლებიც როლან გაროსის მიწის საფარზე ამჯობინებენ თამაშს, სულ სხვაა უიმბლდონის „ბალახი". გუსტავო კუერტენმა უკვე სამჯერ გაიმარჯვა პარიზში, მაგრამ უიმბლდონზე ფავორიტთა შორის არასოდეს ითვლებოდა. ახლა კი საერთოდ განაცხადა, რომ არ ითამაშებს ინგლისის ღია ჩემპიონატში. ეტყობა, წარმატების იმედი არა აქვს და, თანაც, როგორც თქვა, იგი არ ეთანხმება მოთამაშეთა განთესვის პრინციპს, რომელსაც უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორები იყენებენ. „ამასთან, მცირე ტრავმების განკურნებაზეც უნდა ვიფიქრო, ხანდახან რომ მაწუხებს".

უარის მთავარი მიზეზი, როგორც ექსპერტები ფიქრობენ, მაინც ის არის, რომ **ბრაზილიელს ლონდონში წარმატების იმედი არა აქვს.** რაც შეეხება უიმბლდონის ერთ გამოკვეთილ ფავორიტს ვაჟებს შორის, ასეთს ახლა ვერავინ ასახელებს — ყველაფერია მოსალოდნელი.


კაპრიატი

სამაგიეროდ, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ქალთა შორის უნდა ველოდოთ მარტინა ჰინგისის და ჯენიფერ კაპრიატის დუელის განმეორებას. ჰინგისმა როლან გაროსის ნახევარფინალში კაპრიატთან კი წააგო, მაგრამ კმაყოფილია იმით, რომ პარიზელები შემოირიგა, რომლებთანაც 1999 წელს შტეფი გრაფთან ფინალში წაგების შემდეგ ძალზე ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და წელს ობსტრუქციის შიშიც კი გაუჩნდა. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა: გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად, რომელიც როლან გაროსის ტრიბუნებზე ჩატარდა, ჰინგისს მიაკუთვნეს „მაყურებლის სიმპათიის" პრიზი, იგი „შეჯიბრების ყველაზე სასიამოვნო ჩოგბურთელად" ჩაითვალა და ამ მხრივ გაასწრო პარიზელებს შორის ისეთ პოპულარულ პიროვნებებს, როგორიც ამელი მორესმო, ჯენიფერ კაპრიატი და ჯასტინ ჰენინი არიან.

ამ დღეებში ჟურნალისტებმა რამდენიმე კითხვით მიმართეს ჯენიფერ კაპრიატის.

● ***რა მიზნებს ისახავთ უიმბლდონის წინ?***

— ძნელი სათქმელია. შევეცადე ცოტაოდენი დამესვენა და დამევიწყებინა როლან გაროსი, რათა შემდგომი ტურნირებისათვის მოტივაცია მქონოდა. ისე კი, ძალიან მიყვარს ბალახის საფარი და ძალიან მოხერხებულად ვგრძნობ თავს ასეთ შეჯიბრებებში.

● ***როლან გაროსზე ნახევარფინალში თქვენთან შეხვედრის შემდეგ მარტინა ჰინგისმა განაცხადა, რომ მსოფლიოში უძლიერესი ჩოგბურთელი ამჟამად სწორედ თქვენ ხართ.***

— რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნება, რომ ჰინგისი ასე ფიქრობს, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მე კი არ მიკავია პირველი ადგილი სარეიტინგო ცხრილში, არამედ, სწორედ მარტინას. ამიტომ შეფასებისგან თავს შევიკავებ.

● ***დედათქვენმა თქვა, რომ მას შემდეგ, რაც გადაგხდათ ამ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც იმდენი გააკეთეთ, რომ ოლიმპს დაუბრუნდით, ახლა მისთვის აღფრთოვანების საგანი გახდით. რას იტყვით იმის შესახებ, რომ ბევრი გიყურებთ, როგორც მიბაძვის ღირსს?***

— არა ვთვლი თავს ისეთ ადამიანად, რომელიც მიბაძვის ღირსია, მაგრამ ვამაყობ, რომ ზოგიერთი სწორედ ჩემი მაგალითით ცდილობს თავისი ცხოვრების შეცვლას. რაც შეეხება დედაჩემს, სწორედ იგი არის ჩემი ყველაზე დიდი აღმაფრენის წყარო. სწორედ დედა დამეხმარა დავბრუნებოდი ნორმალურ ცხოვრებას და ყურადღება არ მიმექცია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აუგად მიხსენიებდნენ.

## ფორმულა-1

# რბოლა ევროპაში დაბრუნდება

**მსოფლიო პირველობა კანადიდან, სადაც მერვე ეტაპი ჩატარდა, ევროპას მიაშურებს — კვირას მეცხრე ეტაპს „ნიურბურგრინგი" უმასპინძლებს. შარშან 4556 მეტრიან ტრასის 67 წრე — 350,235 კმ-ს შეადგენდა, ყველაზე სწრაფად მიხაელ შუმახერმა („ფერარი") გაიარა (1:42,00,307 წამში და საათში 179.541 კმ სისწრაფე განავითარა). პოულ-პოზიციაში პირველი იყო კულტჰარდი („მაკლარენი") 1.17,529 (211,554 კმ/საათი). უსწრაფესი წრე: მ. შუმახერი („ფერარი") — 1.22,269 (199, 365 კმ/საათი).**

## რალფი დატოვებს თავლას?


რალფ შუმახერი

თვით ჩემპიონატის სწრაფი რბოლის შესატყვისად გუნდებში სიტუაციაც სწრაფად იცვლება. გერმანული პრესა, კერძოდ, გაზეთი „ბილდი" და „შპიგელი" დაბეჯითებით იუწყებოდა კანადის გრან-პრის გამარჯვებულ რალფ შუმახერის „მაკლარენის" თავლიდან გადასვლის შესახებ.

ძმების მენეჯერმა ვილი ვებერმა თქვა, რომ შესაძლებელია უილიამსმა უმცროს ძმას კონტრაქტი გაუგრძელოს. როგორც ცნობილია, ფორმულა-1-ს მართავს ფული და ვებერი ცდილობს მოუმატონ ხელფასი უმცროს შუმახერს. დღეისათვის მისი ხელფასი წელიწადში დაახლოებით 6 მილიონი დოლარია. მენეჯერს 14 მილიონამდე უნდა ამ თანხის გაზრდა. მანვე თქვა, რომ სპორტული მიღწევებისათვის მზადაა გარკვეულ დათმობაზე წავიდეს. რალფისადმი სერიოზულ ინტერესს იჩენს მდიდარი იაგუარიც, მაგრამ ამ გუნდს ჯერჯერობით არ ჰყავს საიმისო ბოლიდი, ქულები რომ მოიგოს.

თვით რალფმა კი განაცხადა: „მსურს დავრჩე გუნდში, რომელშიც დავიწყე რბოლის მოგება, მაგრამ ფინანსური პირობებიც სამომავლოდ გარკვეულ როლს ასრულებს".

ისე, რალფს შეუძლია მაკლარენში თავისი ამბიციების დაკმაყოფილება. რონ დენისის თავლაში ყველაფერია — საჩემპიონო ბოლიდი და რა თქმა უნდა, გაცილებით მაღალი ხელფასი, ვიდრე სერ ფრენკ უილიამს აქვს, მით უმეტეს, რომ ბოსს უილიამსს მაინცდამაინც არ უყვარს ჯიბეზე ხელის გაკვრა პილოტების ხელფასისათვის. რალფმა იქვე განაცხადა, რომ „ჰაკინენი დანებდა. შესაძლოა, შინაგანად იგი მზადაა რბოლის დასატოვებლად". მაშასადამე, მიკის ადგილის დაკავება სავსებით შეუძლია უმცროს-შუმახერს, მით უმეტეს, რომ გერმანელი სულაც არაა უარს მაკლარენში გადასვლაზე. მერსედესის კორპორაციის ტექნიკურმა დირექტორმა კატეგორიულად უარჰყო რალფის მაკლარენში გადასვლა მიკი ჰაკინენი რომ შეცვალოს, რასაც „სრული ბოდვა" უწოდა.

იქნებ ყველაფერი ეს გაზეთის ტაქტიკური „სვლებია", რომ ვებერმა აიძულოს ფრენკ უილიამსი, პილოტების ხელფასის გაზრდაზე იფიქროს? თუმცა იმის შესახებაც დადის ხმები, რომ რალფით ფერარია დაინტერესებული, ცუდი არ იქნებოდა გუნდს თუ ძმები — მიხაელ და რალფ შუმახერები შეადგენდნენ. ისე, ეს თუ მოხდა (გადასვლა), ალბათ მას შემდეგ, როცა მიხაელი წავა იქიდან, ვის უნდა მუდმივი მეორეობა, თუნდაც საკუთარი ძმის ჩრდილში ყოფნა?

# „ჭადრაკის ოქროს ხანამ უკვე ჩაიარა!"

გამოჩენილი მოჭადრაკე და პიანისტი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილე მარკ ტაიმანოვი 75 წლისა გახდა. ამასთან დაკავშირებით, იუბილართან მოკლე ინტერვიუს გთავაზობთ:

● ***თქვენი საჭადრაკო კარიერა ძალზე ხანგრძლივი გამოდგა. რა მოგცათ ჭადრაკმა?***

— ძალიან დიდი სიხარული. მას ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი მივუძღვენი, ისეთივე დიდი, როგორც მუსიკას. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე ამ ორი დიდი ხელოვნების შეთავსება.

● ***ახლანდელ საჭადრაკო სამყაროში დიდი უწესრიგობაა. მაგალითად, დღეს რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონი გვყავს. ბევრი გვეკითხება, ვინ არის ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჭეშმარიტი ჩემპიონი?***

— ვფიქრობ, ეს სიტუაცია ვერც კასპაროვისა და კრამნიკის მატჩმა შეცვალა. დღეს გვყავს რამდენიმე გამოჩენილი, ძალიან ძლიერი მოჭადრაკე და ერთი, რომელიც ყველას აღემატება, ეს გარი კასპაროვია.

● ***საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია აპირებს პარტიისათვის განკუთვნილი მოსაფიქრებელი დროის შეკვეცას. ამას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. თქვენი აზრი?***

— ასეთი სიახლეები დამახასიათებელია დღევანდელი დროისთვის, მაგრამ მას ჭადრაკისათვის კარგი არაფერი მოაქვს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**22 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00). ***ESPN.*** პროფესიული კრივი (17.00), იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (23.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. „ერთი მსოფლიო — ერთი თასი" (15.30. 22.15), ფორმულა-3000. საერთაშორისო ჩემპიონატი (21.00). წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (23.15). ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: ავსტრალია — ჩეხეთი (14.15, 22.55), ირანი — განა (16.00), საფრანგეთი — პარაგვაი (17.45), ჰოლანდია — ეკვადორი (20.40), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.40), ***НТВ.*** ცხენოსნობა. რუსეთის თასი (13.10), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (14.50), ტაილანდური კრივი (18.55), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟთა ნახევარფინალი (23.10, 0.40).

**23 ივნისი შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***РТР.*** ფორმულა-1. ევროპის გრან-პრი (2.10). ***ESPN.*** კალათბურთი, ნბა (10.30, 12.30, 18.30). „რაგბის სამყარო" (03.00), ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (12.30), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (13.30), მძლეოსნობა. ევროპის თასის სუპერლიგა (16.00, 22.00), ფორმულა-3000. საერთაშორისო ჩემპიონატი (17.30). ფეხბურთი. ქალთა ევროპის ჩემპიონატი (0.00), ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: ირანი — განა (13.15), აშშ — უკრაინა (21.55), ფინეთი — ეგვიპტე (0.40), ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (15.00). „საფეხბურთო არქივი": ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი — პორტუგალია, ნახევარფინალი (15.45), იტალია — ჰოლანდია (19.25). ***НТВ плюс спорт.*** წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (11.40), წყალსამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები (18.55), ფინალი (20.55), კიკბოქსინგი (1.15).

**24 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.30), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (22.30, 03.00). ***EUROSPORT.*** სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (11.30). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი, ქალები (13.30), მძლეოსნობა. ევროპის სუპერლიგის თასი (22.00), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (21.00). ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: აშშ — უკრაინა (13.15), ფინეთი — ეგვიპტე (15.00), განა — საფრანგეთი (21.55), ეთიოპია — ჰოლანდია (0.40). „საფეხბურთო არქივი". ევროპის ჩემპიონატი, ფინალი. საფრანგეთი — იტალია (16.40). ***НТВ плюс спорт.*** წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (11.40), „დიდი რინგი" (14.40), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისათვის (18.55), ფინალი (20.55), წყალსამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.20), ტაილანდური კრივი (1.15).

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და სააქციო საზოგადოება სპორტკომპლექსი ლაგუნა — ვერე ღრმა სამძიმარს უცხადებენ ამავე კომპლექსის ხელმძღვანელს ცისანა მჭედლიძეს ძმის**

**მალხაზ მჭედლიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ცისანა მჭედლიძეს ძმის გარდაცვალების გამო.**

# კროსვორდი № 48



**თარაზულად:** 1. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 7. სიმაღლეზე ხტომაში ორ ძელს შუა გადებული ხარიხა, 9. იტალიის საფეხ. კლუბი, 10. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი, 11. იტალიაში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი, 12. საჩოგბურთო ტერმინი, 13. „ჩელსის" ყოფილი მეკარე, ამჟამად „უოტფორდშია", 15. არგენტინელი ფეხბურთელი, მ/ჩემპიონი (1978), 18. ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ფეხბურთში მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, 19. ქართველი ფეხბურთელი — ოლ. თამაშების პრიზიორი, 20. ქართველი ძალოსანი, ამჟამად საბერძნეთის მოქალაქე.

**შვეულად:** 2. ინგლისის პრემიერ-ლიგის საფეხბ. კლუბი, 3. რუსეთის საფეხბ. კლუბი, 4. ფინეთის საფეხბ. კლუბი, 5. წარსულში ცნობილი რუსი მეკარე ხოკეიში, 6. კალათბურთის დგარი და... 8. ჩოგბურთელ სანჩესის სახელი, 14. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე ემანუელ ——— 15. „ინტერის" და იტალიის თავდამსხმელი, 16. გერმანიის II ბუნდესლიგის საფეხბ. კლუბი, 17. არბიტრი ანუ...

## კროსვორდი №47-ის პასუხები:

**თარაზულად:** 3. მაკაბი, 5. კიო, 6. ფორა, 8. აგრესია, 10. ნოკაუტი, 11. კორიფე, 12. კანი, 13. თარჯი, 15. ბარქაია, 19. რისკი, 20. იაქე, 21. პენტაგონი. **შვეულად:** 1. კონკურსი, 2. პორტიე, 4. ბასტია, 7. ქარტია, 9. გოლიათი, 10. ნიკე, 12. კარტინგი, 14 ფილია, 16. როქი, 17. ასპი. 18. დანი, 22. ფალკაო.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლa6! — 2. ლ:b5X. 1. ...კb6 2. ლb7X. 1. ...კd6 2. ლ:d6X. 1. ...ეc5 2. dcX. 1. ...კd7 2. მf6X. 1. ...კ:e4 2. feX. 1. ...ე — 2. ლ:c4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-1… ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მეჯი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე.